პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთის 36-ე წელი № 250 (10336) | პარასკევი, 21 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (I-ლი გვერდი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

ტაშკენტს ჩამოვიდა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ (1-ლი გვერდი).

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში. — პ. ჭიოკაძე. — გულდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების ვითარებაში (მე-2 გვერდი).

შ. შეყლაშვილი. — მარგანეცის მრეწველობა მეექვსე ხუთწლედში (მე-2 გვერდი).

გ. პლატონოვი. — მიჩურინული მატერიალისტური მოძღვრების ზეიმი ბიოლოგიაში (მე-2 და მე-3 გვერდი).

ა. ბეშიძე. — საკვების [illegible] (მე-3 გვერდი).

მ. არაშიძე, ა. გელოვანი, ნ. [illegible] მეტი ყურადღება საბურთალოს მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას (მე-3 გვერდი).

ს. რასტი. — პროფორგის დღე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად



სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მოწინავე მღარავი ს. ნაზარიკოვი, რომელიც პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას და დღიურ საწარმოო დავალებას ორმაგად ანაღდებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელები უდიდესი აღმავლობით ემზადებიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. ახალი ცხოვრების შემქმნელნი — გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია არ იშურებენ თავიანთ ძალასა და ენერგიას იმისათვის, რომ ფაბრიკებით განახორციელონ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის სამრეწველო დავალება სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის ქარხნებსა და ფაბრიკებში, სამშენებლო ობიექტებზე, კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩქეფს შემოქმედებითი შრომა. სწრაფად იზრდება XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა რიგები. საქართველოს მშრომელებს პარტიული ორგანიზაციების ყოველმხრივ ხელმძღვანელობით თავიანთი წვლილი შეაქვთ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ საყოველთაოსახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა პურის (სიმინდის გარდა), ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმები. განაღდებულია აგრეთვე მატყლის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები. მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დამთავრებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის რძის პროდუქტიულობის გადიდებას.

სოფლის წარჩინებული ადამიანები ახალი საწარმოო საჩუქრებით ეგებებიან პარტიის XX ყრილობას. სიღნაღის რაიონის ტიბაანის მტს-ის ტრაქტორისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელენე ნატრაშვილი დიდი წარმატებით მუშაობს საშემოდგომო ხვნა-თესვაზე, დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს. ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ ჩაის კრეფის მიმდინარე წლის დავალება მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა. გორეულნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნ. ქაჯაია 14 ძროხას უვლის. მან ერთ საფურაქე ძროხაზე 3.697 კილოგრამი რძე მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 კილოგრამისა. ასეთი მაგალითი ბევრია.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინააღეთა გამოცდილება მოწმობს, რომ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს უდიდესი რეზერვები მოეპოვებათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან კვალიფიციურად, ყოველდღიურად უხელმძღვანონ სოციალისტურ შეჯიბრებას, შეუერთონ ერთმანეთს ყოველივე ახლის, პროგრესულის სწრაფად დანერგვისათვის.

პარტია გვასწავლის, რომ არ დაჯერდეთ მიღწეულს, არ მივეცეთ თვითკმაყოფილებას, არამედ მეტი ყურადღება მივაქციოთ გადაუჭრელ ამოცანებს და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საჭიროა დიდი მუშაობა, რომ წარმატებით დავამთავროთ სასოფლო-სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის ბარაქიან მოსავალს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მეხუთე დღით ფორმალურ მიდგომას სოციალისტური შეჯიბრებისადმი. ზოგან კმაყოფილდებიან მხოლოდ და მხოლოდ ვალდებულებათა აღებით, ხოლო ზოგან კი ნაკისრ ვალდებულებათა მიმდინარეობის შესრულებას არ ამოწმებენ და პირობა ქაღალდზე რჩება. ქარელის რაიონის სოფელ ურბნისის კოლმეურნეობა „სინათლის“ გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ შეიმუშავეს ღონისძიებანი მეცხოველეობის განვითარებისათვის, კარგი სიტყვები ითქვა აქ შეჯიბრების გასაჩაღებლად მეცხოველეობის აღმავლობისათვის. მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციამ შეჯიბრების საქმე თვითდინებაზე მიუშვა. ამიტომ შედეგიც ცუდია. უხეში საკვების მთელი მარაგი დაცული არ არის და მას პირუტყვი ანადგურებს, ჩალის ნაწილი მოუველოდნელად დალპა. ასეთ ფაქტებს სხვა რაიონებშიც ვხვდებით.

სოციალისტური შეჯიბრება კომუნისტური მშენებლობის ნაკადი მეთოდია. პარტიული ორგანიზაციების ღიძილი საქმეა ბოლო მოეღონ ნაკლოვანებებს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, სისტემატურად გასწორონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის, დარაზმონ ისინი მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა ღონისძიებანი უნდა წარვმართოთ საშემოდგომო თესვის სწრაფად დამთავრებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე კოლმეურნეთა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გადაუდებელი საქმეა ყველაფერი გააკეთონ თესვის გეგმის აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის.

გაჩაღებულია სიმინდის, ყურძნის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის მოსავლის აღება. შეჯიბრების მონაწილეთა დროშას აწერია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი აიღონ დროულად, უდანაკარგოდ. ეჭვი არ არის, რომ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები პირველხარისხოვანი თანამედროვე ტექნიკის სრულად გამოყენებით თავიანთ ვალდებულებას გაანაღდებენ.

კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, მექანიზატორებმა, მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს პირუტყვის მოვლის, კვების, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში. შეჯიბრების მონაწილეთა ღონისძიებანი ახლა უნდა წარვმართოთ იმისაკენ, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მოახლოებულ ზამთარს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პირუტყვს მთელი ზამთრის პერიოდში საკმაოდ ჰქონდეს უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვები და იგი უზრუნველყოფილი იყოს თბილი, სუფთა, ნათელი სადგომებით.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებას. თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, დამამზადებელი ორგანიზაციის და ყველა მშრომელის პატრიოტული ვალია ღირსეული წვლილი შეიტანონ ამ საქმეში, ყველაფერზე მაღლა დააყენონ სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესები და უზრუნველყონ დამზადებათა გეგმების სანიმუშოდ შესრულება.

ახლოვდება ბრწყინვალე დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყოველთვის, ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდებიან დიად დღესასწაულს.

ყოველდღიურად ფართოვდება საკოლმეურნეო სოფელში სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. ამ შეჯიბრებაში თავიანთი წარმატებებით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ცხადყოფენ თავიანთ მხურვალე სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი, კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისადმი.

264 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გაღამეჯებით

ხაშური. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე ნაყოფიერად მუშაობს ხაშურის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივი. დგანან რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე, მათ ცხრა თვის საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულეს. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 264.400 მანეთის პროდუქცია და სახელმწიფოს მისცეს 239.000 მანეთის მოგება.

ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა ვალდებულებაა წლიური გეგმა შესრულონ ვადაზე ოცი დღით ადრე და მიაწოდონ მომხმარებლებს მეტი და მაღალხარისხოვანი ავეჯი.

ინჟინერ-ტექნიკოსთა სახლი ჭყიბულში

ტყიბული, 19 ოქტომბერი. (საქდესი). აქ გაიხსნა ინჟინერ-ტექნიკოსთა სახლი, სადაც მოწყობილია რაიონალიზატორთა და გამომგონებელთა ოთახი, გამოყოფილია ოთახები კონსულტაციისა და წრეების მუშაობისათვის. სახლთან არის მდიდარი ტექნიკური ბიბლიოთეკა. ახლა აქ ეწყობა გამოფენა თემაზე: „ძველი და ახალი ტყიბული“.

აჭარაში დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის სუბტროპიკული რაიონების მეციტრუსეებმა წელს საუკეთესოდ მოუარეს ნარგავებს და შედეგიც კარგია. მზიანმა და თბილმა ამინდმა დაჩქარა ნაყოფის დამწიფება.

18 და 19 ოქტომბერს ზათუმის რაიონში დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა. ამ სამუშაოს პირველი შეუდგა ახალშენის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა. პირველ დღეს მეციტრუსეებმა მოკრიფეს და ბათუმის № 3 შემფუთავ ქარხანას ჩააბარეს 4 ტონამდე მანდარინი.

მეურნეობის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაწყვიტა გეგმით გათვალისწინებული 200.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფის ნაცვლად მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების მშრომელებს საოქტომბრო დღესასწაულის წინ გაუგზავნოს 400.000 ცალი, სულ კი სეზონში საბელმწიფოს ჩააბაროს 10 მილიონ ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი ანუ ერთი მილიონი ცალით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული.

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა დაიწყო გონიოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. კოლმეურნე ა. ქოქოლაძემ 18 და 19 ოქტომბერს ერთი ტონა მანდარინი ჩააბარა.

მანდარინის კრეფას შეუდგა აგრეთვე მახინჯაურის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

178.000 მანეთი ეკონომია

ნავთლუღის ხალიანდაგო დისტანციაზე ამჟამად ხარკოვის ხალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატის, სტალინური პრემიის ლაურეატის ამბ. ნეფედოვის მეთოდით მუშაობს მელიანდაგეთა 28 ბრიგადა. აღნიშნული ბრიგადები, ჩაებნენ რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, შეხანიშნავად უვლიან ლიანდაგს, უზრუნველყოფენ სამგზავრო და მძიმე წონის სატვირთო მატარებლების დიდი სიჩქარით მოძრაობას.

ლიანდაგის მიმდინარე შეკეთების გაუმჯობესების შედეგად პირველმა საოსტატომ, რომელსაც რაციონალიზატორი გზის ოსტატი ე. ფუტკარაძე ხელმძღვანელობს, ამ რამდენიმე დღის წინათ ლიანდაგის ტექნიკური შემოწმებისას საუკეთესო შეფასება მიიღო. გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ნავთლუღის მეორე საოსტატოს კოლექტივს, რომელსაც გზის ახალგაზრდა ოსტატი ა. ცომაია ხელმძღვანელობს. შესანიშნავი მაჩვენებლები აქვს მარნეულ-შულავრის გადასარბენზე მომუშავე ო. ვართანოვის ბრიგადას.

ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ასრულებენ მელიანდაგეები ი. ჯანეზაშვილი, რ. ამბარიანი, ნ. მიშკინი და სხვ.

ლიანდაგის შეკეთებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან წელს 15 ოქტომბრამდე ნავთლუღის ხალიანდაგო და დისტანციის კოლექტივმა უკვე გასწია 178 ათასი მანეთის ეკონომია.

მექანიზატორთა წვლილი

უვარელი. (საკ. კორ.). ენისლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობას ალაზნის მარცხენა ნაპირზე ნაყოფიერი სახნავ-სათესი ფართობები უკავია, მაგრამ იმის გამო, რომ კარგად არ ამუშავებდნენ, გასულ წლებში ამ ფართობებიდან მცირე მოსავალს იღებდნენ.

ენისლელებმა მწარე გაკვეთილებიდან სწორი დასკვნა გააკეთეს და უხვი მოსავლისათვის ბეჯითი შრომა გააჩაღეს. გასული წლის შემოდგომაზე ნიადაგი კარგად დაამუშავეს, მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა შეარჩიეს, თესვა პროგრესული წესით — ჯვარედინად ჩაატარეს, სასუქები დროზე შეიტანეს, მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს და შარშანდელთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე 6 ცენტნერით მეტი პური მიიღეს.

მიღწეული შედეგები ცუდი არ არის, მაგრამ ენისლელები უკეთესი მაჩვენებლებისათვის იბრძვიან. ახლა ისინი საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. გეგმით გათვალისწინებული აქვთ 700 ჰექტარის დათესვა, ფაქტიურად კი რვაასსაც არ ჯერდებიან. ენისლის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ბ. ბერიაშვილი ხელმძღვანელობს, უკვე ხუთასი ჰექტარი დათესა. აქედან ნახევარზე მეტი დათესილია ჯვარედინად. ტრაქტორისტები შ. ადომლიშვილი, ვ. ყურშიტაშვილი და გ. კიკვაძე თესვის დღიურ დავალებას დიდი გადამეტებით ასრულებენ. ადომლიშვილი გადაბმული ორი სათესით დღეში 40 ჰექტარს თესავს, გეგმით კი 24 ჰექტარია გათვალისწინებული.

ენისლელი მექანიზატორები ბეჯითად შრომობენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი

ქარელი. (საკ. კორ.). სოფელ ქვემო ხვედურეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. არხოშაშვილი) ორი წელია რაიონში პირველობას ინარჩუნებს ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებაში. მიმდინარე წელს იგი შარშანდელთან შედარებით კიდევ უფრო კარგ მოსავალს იღებს. კოლმეურნეობას შაქრის ჭარხალი 50 ჰექტარზე უთესია. ახლა მოსავლის აღება და ჩაბარება ჩქარი ტემპით წარმოებს.

უკვე აღებულ ჰექტარებზე საშუალოდ მიღებულია 500 ცენტნერი ჭარხალი ნაცვლად 315 ცენტნერისა. ალექსი ელბაქიძის ბრიგადამ 4,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 600 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მოსავალი მიიღო. ქვემოხვედურეთელი კოლმეურნეები ჩაბმული არიან პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება ვადამდე დაამთავრონ ჭარხლის მოსავლის აღება და სახელმწიფოს გეგმის გადამატებით ჩააბარონ ცხრა ათასი ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

ზაშკენტს ჩამოვიდა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ

ტაშკენტი, 20 ოქტომბერი. (საკ. კორ.). საბჭოთა მთავრობის მოწვევით დღეს საბჭოთა კავშირში კეთილი ნების ვიზიტით ჩამოვიდა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ და მისი თანმხლები პირები.

აეროდრომზე აღმართულია ბირმის კავშირის, სსრ კავშირისა და უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ალმები. ბირმელ სტუმართა შესახვედრად აქ შეიკრიბნენ მშრომელთა, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. რ. რაშიდოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ს. კ. კამალოვი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ა. ი. ნიაზოვი და რ. ე. მელნიკოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ს. სულთანოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმის კავშირში ა. დ. შჩიბორინი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. რუდინი და ი. ს. ნასრიდინოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, უზბეკეთის სსრ მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ მონგ ონი და ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში უ ჩინი.

... 13 საათსა და 05 წუთზე ადგილობრივი დროით დაეშვნენ ვერცხლისფერი ჰაპერო ხომალდები. თვითმფრინავებიდან გამოდიან ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრი უ ნუ, მისი მეუღლე დო მია ი, პოლკოვნიკი აუნგ ჯი და პრემიერ-მინისტრის თანმხლები სხვა პირები.

გაისმის ბირმის კავშირის, სსრ კავშირის, უზბეკეთის სსრ სახელმწიფო ჰიმნები. პიონერებმა სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი მხურვალედ მიესალმა ბირმის კავშირის მთავრობის მეთაურს.

პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ საპასუხო სიტყვაში განაცხადა:

— დიდი ხანია მინდოდა საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა. და აი ახლა ჩემი ოცნება ასრულდა. ტაშკენტი პირველი ქალაქია საბჭოთა კავშირში, რომელიც მე ვნახე. ძალიან მადლობელი ვარ ყველა თქვენი და უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ მუხიტდინოვისა იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მოგვიწყეთ მე და ჩემს თანამგზავრებს.

ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის და მივაღწევთ ამაში წარმატებას.

აეროდრომზე გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ბირმისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას!“, „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“.

სტუმრები და მათი შემხვედრი ოფიციალური პირები ავტომანქანებით მიემგზავრებიან ქალაქში. მთელ გზაზე ათასობით ტაშკენტელი მხურვალედ მიესალმება ბირმის მთავრობის მეთაურს. ქუჩებში გაჭიმულა ტილოები წარწერებით რუსულ, უზბეკურ და ბირმულ ენებზე: „სალამი პრემიერ-მინისტრ უ ნუს!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქალთა შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობები განუწყვეტლივ უმჯობესდება. ხორციელდება გახაკეთრებული ზრუნვა დედისათვის. შექმნილია სამშობიარო სახლების, ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების ფართო ქსელი.

მაგრამ დედისა და ბავშვის დაცვისა და წარმოებაში მომუშავე ქალთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. არის ფაქტები, რომ ცალკეულ საწარმოებში არღვევენ ქალთა შრომის დაცვის კანონმდებლობას, რომ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები გულისხმიერად არ ეკიდებიან დედების საჭიროებასა და საჭიროებებს.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს, რესპუბლიკურ და საოლქო საბჭოებს წინადადება მისცა დააწესონ უსასტიკესი კონტროლი ქალთა შრომის მოქმედი კანონმდებლობის დაცვისადმი. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება. (საკდესი).

თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში

გულითად ვითარებაში მიმდინარეობს მოსკოვში თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეთა შეხვედრები დედაქალაქის მშრომელებთან. 19 ოქტომბერს სტუმართა ჯგუფი იყო სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში.

სასადილო შესვენებაა. სარემონტო-მექანიკური საამქროს უზარმაზარ შენობაში შეიკრიბა ათას ხუთასამდე ავტოქარხნელი. ისინი მხურვალე ტაშით ეგებებიან მოძმე ხალხის წარმომადგენლებს. ჩქარობასა ნარატი ს. ბუშუევი ბრიგადათასაწყობი კოლექტივის სახელით გულითადად მიესალმება თურქმენეთის სსრ ხელოვნების მუშაკებს.

იწყება კონცერტი. გამოდიან მესაზღვრე ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, აშხაბადის ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი, მოცეკვავეთა კოლექტივი. ანსამბლის სოლისტმა ვ. კლიმოვამ და ტაშაუზის ოლქის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილემ ალა მურადოვამ ამღერეს თურქმენული და რუსული ხალხური სიმღერები.

მსმენელთა შორის განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა მწყემსს აშხაბადის ოლქიდან მამედ სოიუნოვს, რომელმაც მთელი რიგი მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულა ხალხური საკრავით — დილა-ტიუდუკით. დასასრულ ამჩენეს ჯარისკაცთა ცეკვები.

მუშებმა და მოსამსახურეებმა სტუმრებს ცოცხალი ყვავილები მიართვეს.

ამ დღეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირში გრძელდებოდა შემოქმედებითი დისკუსია. პოეტმა კ. სეიტლიევმა გააკეთა მოხსენება თურქმენეთის თანამედროვე პოეზიის მდგომარეობის შესახებ, ილაპარაკა, თუ რაზე მუშაობენ ახლა პოეტები. თურქმენეთში კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციისადმი მიძღვნილია ჩ. ამიროვის პოემა. იასნაია პოლიანაზე წერს ა. კეკილოვი, რომლებმაც მოიარა ის ადგილები, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი ტოლსტოი. ო. ალიევი ქმნის მოწონებავ თურქმენი ფეოქარი ქალის პოეტურ სახეს. ა. კოკუსოვი ხატავს სოფლის ახალ ცხოვრებას, მ. სეიდოვი გვიჩვენებს აშხაბადის ახალ მშენებლობებს. დიობეკდა ლექსები სოციალისტური სოფლის მეურნეობის ოსტატებზე, ნავთობის მუშაკებზე.

დისკუსიაში მონაწილეობას იღებენ ნ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, მ. ზენკევიჩი, ბ. ეფელუნოვი, მ. პეტროვიხი და სხვა პოეტები.

თურქმენი მწერლის კ. სეიტლიევის შემოქმედებისადმი მიძღვნილი იყო ნოსტიზველთა კონფერენცია, რომელიც ფ. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო ბიბლიოთეკა-მუზეუმში გაიმართა.

მოსკოვის სცენებზე გრძელდებოდა თურქმენეთის თეატრების სპექტაკლები. მათ უჩვენეს სპექტაკლები „შასენემ და ყარიბი“, „რევიზორი“, „მხიარული სტუმარი“.

თურქმენული ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი საღამო გაიმართა რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში. (საკდესი).

პოლონეთის სახელმწიფო ანსამბლ „შლენსკის“ პირველი კონცერტი

19 ოქტომბერს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა პირველი კონცერტი პოლონეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „შლენსკისა“, რომელიც მოსკოვში საგასტროლოდ ჩამოვიდა.

დედაქალაქის ხელოვნების მუშაკთა სახელით პოლონელ მსახიობებს მიესალმა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ფ. გ. სოკოლოვი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა სტანისლავ ხადინამ.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ანსამბლის გამოსვლას.

კონცერტს დაესწრო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ლევიკოვსკი. (საკდესი).

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

გუღდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების ვითარებაში

პარტიული კრება საღამოს რვა საათზე უნდა დაწყებულიყო. კომუნისტთა ნაწილი იგვიანებდა. მათ მოსაყვანად ახალგაზრდები გაგზავნეს. რამდენიმე კომუნისტი მართლაც მოვიდა. პარტიის წევრთა ერთი მეოთხედი მაინც არ ჩანდა. მათი გამოცხადება საეჭვო იყო, და კრება ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. ეს იყო ჭიათურის რაიონის სოფელ ეწერის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. მოხსენებით პარტორგანიზაციის მდივანი დ. კუპატაძე გამოვიდა.

კრებაზე აშკარად იგრძნობოდა თვითკმაყოფილების განწყობილება, მიღწეულით გულდამშვიდება. მომხსენებელი და მოკამათეები არსებულ მდგომარეობას წინა წლებს ადარებდნენ და წარმატებებით ამაყობდნენ. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ გასულ წლებთან შედარებით კოლმეურნეობაში წელს დიდი გარდატეხა არ მომხდარა.

კამათში გამოსულმა ფერმის გამგემ დ. ღვალაძემ თვითდამშვიდებით განაცხადა, რომ პროდუქტიულობა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ წლიური გეგმა რომ ვერ შეესრულეთ, ეს მომვლელთა ცვალებადობით აიხსნებაო.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ბრეგვაძემ ხოტბა შეასხა პარტორგანიზაციის მდივანს, იგი გამგეობასთან კოლეგიურად, შეთანხმებულად მუშაობსო. მაგრამ დაავიწყდა ეთქვა, რომ კოლეგიურობა არ გამორიცხავს პრინციპულობას, პირდაპირობას და რომ კოლეგიურობა მაამებლობად და ნაკლოვანებათა მიჩქმალვად არ უნდა იქცეს.

სინამდვილეში კი კოლმეურნეობისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანია.

ნათესების დამუშავება აქ აგროწესების დაცვით და ხარისხიანად როდი ჩატარდა. საგაზაფხულო სამუშაოები გაჭიანურდა, ხორბლის ნათესებში სასუქი არ შეუტანიათ, შეუწყნარებლად ჭიანურდება მოსავლის აღება. სამემოდგომო თესვა კი 12 ოქტომბრისათვის დაწყებულიც არ იყო. კოლმეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი და პერსპექტივული კულტურაა ჩაი. ჩაის კულტურას აქ მზრუნველობით ვერ უვლიან, მაგრამ ამის შესახებ კრებაზე არაფერი თქმულა.

სახარბიელო მდგომარეობა არც მეცხოველეობაშია. კოლმეურნეობამ წველადობის წლიური გეგმა მხოლოდ 86 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნამატის მიღებისა — 76 პროცენტით. კეთილმოუწყობელია მეცხოველეობის სადგომები, შექმნილი არ არის მტკიცე საკვები ბაზა.

ვხედებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევებს, საკოლმეურნეო დოვლათის განიავება-დატაცების ფაქტებს, მაგრამ ამის შესახებ კრებაზე კრიტიკა არავის დაუძრავს. კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, ირღვევა შრომის დისციპლინა, არ იგრძნობა კომუნისტების ავანგარდული როლი.

დაბალ დონეზე დგას პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, არ ხდება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. საანგარიშო პერიოდში აქ პარტიის რიგებში არც ერთი კაცი არ მიუღიათ. სუსტად არის დაყენებული საგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობა. ძნელი დასადგენია, ვინ რას და როგორ სწავლობს. ამ საკითხზე აქ მხოლოდ ერთხელ იმსჯელეს, მაგრამ ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

საანგარიშო-საარჩევნო კრება სოფელ ეწერის კოლმეურნეობაში მოუმზადებლად მოეწყო. საჭიროა ეს გაითვალისწინოს პარტიის ჭიათურის რაიკომმა, უფრო ახლოს მივიდეს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებთან, კონკრეტულად და საქმიანად დაეხმაროს მათ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში გეგმით გათვალისწინებული 800 ფრთის ნაცვლად 2.000 ფრთა ქათამი ჰყავთ.

სურათზე: მოწინავე მომვლელი მ. მარიკაშვილი აპურებს ქათმებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში

ღვინოების კოლექცია

წინანდლის ღვინის ქარხანას აქვს ღვინოების დიდი კოლექცია — ეგრეთწოდებული „ღვინის ბიბლიოთეკა“, რომელიც 70 წელია არსებობს. ამ საინტერესო და თავისებურ საცავში ინახება 250-ზე მეტი სახეობის ღვინის ნიმუში — სულ 15.310 ცალი ბოთლი. „შატო-ლაფიტი“ 1831 წელს არის შენახული, „შატო-რკემ“ — 1840 წელს, „ვინ დე კონსტანცა“ — 1846 წელს, ნაფარეულის საფერავი — 1846 წელს და სხვ.

ყველაზე ძველი ღვინო — „პოლონური თაფლი“ 141 წლისაა.

დეკორაციული ბაღი

დეკორაციულ ბაღს 12 ჰექტარი უკავია. აქ არის მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხის მცენარეთა ჯიშები, მათ შორის ვერცხლისფერი კედარი, ნამტეკი, დაფნა, ქაფურის ხე, ტუია, ცხენის წაბლი, ქაღალდის ხე, ზეთისხილი და სხვა — სულ 7.000-მდე ძირი მცენარე.

ბაღში ყურადღებას იპყრობს აგრონომ-დეკორატორ ი. ხმალაძის მიერ შესრულებული დეკორაციული ფიგურები — „ნიანგი“, „ლომები“, „ცეკვა ქართული“ და სხვ.

მეურნეობის ახალმშენებლობანი

დიდძალი თანხა იხარჯება წელს მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამჟამად „ხშირის“ უბანში შენდება 13 ათბინიანი საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე კლუბი, პურის საცხობი, აბანო და სხვ.

ი. ჩიტაშვილი.

მარგანეცის მრეწველობა მეექვსე ხუთწლედში

მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ჭიათურის მარგანეცის კოლექტივი ენერგიულ მუშაობას ეწევა.

პირველი რიგის ამოცანად ჭიათურელმა მაღაროელებმა დაისახეს მარგანეცის დამზადების 1955 წლის გეგმისა და მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით, როგორც მთლიანად ტრესტის, ისე ყველა მისი მაღაროს მიხედვით.

ჭიათურელი მაღაროელების სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამოცანა მათ წარმატებით გაანაღდეს. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა შეასრულეს დათქმულ ვადამდე — 6 ოქტომბრისათვის, ყველა ასორტიმენტის მიხედვით. ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს 1955 წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა წარმატებით გაანაღდა მარგანეცის ტრესტის ყველა მაღარომ. განსაკუთრებით წარმატებით იმუშავეს დიმიტროვის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა, რომლებმაც ხუთწლიანი გეგმა ოთხი თვით ადრე შეასრულეს. კარგად იმუშავა აგრეთვე ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა.

მეხუთე ხუთწლედში დიდად გაიზარდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა. წელს სამრეწველო პროდუქციის ზრდა 1950 წელთან შედარებით 55 პროცენტზე მეტს შეადგენს. პროდუქციის გამოშვების ზრდა მიღწეულ იქნა მხოლოდ მოქმედ საწარმოო სიმძლავრეთა უფრო ინტენსიური გამოყენებით.

მოქმედი მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების რეკონსტრუქციისა და სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების წარმატებით შესრულების შედეგად, ფაქტიური საწარმოო სიმძლავრე ტრესტის საწარმოებისა საგრძნობლად აღემატება საპროექტო სიმძლავრეს.

მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მექანიზებულია თითქმის ყველა საწარმოო პროცესი გარდა მარგანეცის დატვირთვისა თვით სანგრევში. ახლა მადნის მექანიზებული დატვირთვა ტრესტის მიხედვით უკვე 45 პროცენტს შეადგენს 1950 წლის 13 პროცენტის ნაცვლად.

შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საწარმოო პროცესების მექანიზაციის გადიდების შედეგად მიღწეულია საგრძნობი ზრდა შრომის ნაყოფიერების დარგში. მიმდინარე წელს 1950 წელთან შედარებით მუშის საშუალო წლიური გამომუშავება გაზრდილია 60 პროცენტით. ამრიგად, გადაჭარბებით არის შესრულებული ნთავრობის დავალება მიმდინარე ხუთწლედში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

ცნობილია, რომ ჭიათურის მარგანეცის საბადო უმდიდრესია მსოფლიოში. იგი საუკეთესო ხარისხის მადანს გვაძლევს და ამიტომ ჭიათურის მადანზე მოთხოვნილება შეუნელებლად იზრდება. წინასწარი მონაცემებით 1960 წელს ჭიათურის მარგანეცის გამოშვება 1955 წლის გეგმასთან შედარებით 50 პროცენტით და მეტად უნდა გაიზარდოს, რაც ჭიათურის მარგანეცის კოლექტივის მეტად დიდ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

ამჟამად მოქმედი მაღაროები, გარდა ლენინის სახელობის მაღაროისი ძველათ აშენებული მაღაროებია. მათ უკვე დიდი ხანია ამოწურეს თავიანთი საპროექტო სიმძლავრეები და ახლა უკვე გამომუშავების სტადიაში არიან, ყოველწლიურად შეამცირებენ თავიანთ წარმადობას. ამიტომ მარგანეცის მრეწველობის შემდგომი განვითარება განხორციელებულ უნდა იქნას ახალი მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების ამუშავებით.

მეექვსე ხუთწლედში წინასწარი გაანგარიშებით ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის დაბანდებული იქნება გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე დაბანდებული იყო მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც არსებობს ჭიათურაში მარგანეცის მრეწველობა. მეექვსე ხუთწლედში აშენდება და ამუშავდება ახალი მაღაროები, გაჩაღდება ღარიბმადნიანი ველების დამუშავება მადნის შემდგომი გამდიდრებით. ამისათვის აგებულ იქნება უახლესი ტექნიკით გამართული ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკები, მეორე რიგის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, ფართო მასშტაბით გაჩაღდება სამრეწველო მშენებლობა და საწარმოთა აღჭურვა ახალი ტექნიკით.

დიდი მუშაობის გაწევაა გათვალისწინებული მეექვსე ხუთწლედში ღარიბი მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის დადგენისათვის. ღარიბ მადნებს გამდიდრების შემდეგ ისევე წარმატებით გამოიყენებენ მეტალურგიაში, როგორც ამჟამად იყენებენ მაღალხარისხოვან მარგანეცს. მეექვსე ხუთწლედში ღარიბი მადნების გასამდიდრებლად აშენდება ახალი მძლავრი ფაბრიკები. გათვალისწინებულია მარგანეცის გამდიდრების შედეგად მიღებული შლამების ბაზაზე ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობის დაწყება. ამ ფაბრიკების ამუშავების შემდეგ ერთიორად გაიზრდება ჭიათურის მარგანეცის პრეწველობის საწარმოო სიმძლავრე და მინიმუმამდე შემცირდება მარგანეცის მადნის დანაკარგები.

უკანასკნელი წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჭიათურაში დიდი მომავალი აქვს მარგანეცის ამოღებას ღია საკარიერო წესით. ღია წესით მადნის მოპოვება მიწისქვეშა მოპოვებასთან შედარებით უფრო იაფი, უსაშიროა და მარგანეცის დანაკარგებიც ნაკლებია. მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია ფართოდ დაბანდება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა ღია წესით მუშაობა.

დიდი ამოცანებია დასახული მომავალ ხუთწლედში შრომის პროცესების სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების უზრუნველყოფისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას. მომავალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ენერგეტიკა და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 70 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. აშენდება კულტურის სასახლე, პიონერთა სახლი, მუსიკალური სკოლის შენობა, ფიზკულტურის სტადიონი, საყოფაცხოვრებო კომბინატი, საავადმყოფო, სკოლები და ა. შ.

მეექვსე ხუთწლედში ქალაქის კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებულია ფულ სამუშაოთა შესრულება საკმაო ზომით შეუცვლის სახეს ქალაქ ჭიათურა და მის სამრეწველო უბნებს. ჭიათურა ნამდვილად გადაიქცევა მუშათა საკეთესო კეთილმოწყობილ ქალაქად.

ჭიათურაში მარგანეცის მრეწველობის ობიექტების მშენებლობა დავალებული აქვს ამიერკავკასიის მეტალურგიულ მშენებლობას, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს სამშენებლო სამმართველო „ჭიათურმშენი“. ეს სამმართველო იმის გამო, რომ მას საკმარის დახმარებას აწევს სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო და თვითტრესტი, ცუდად მუშაობს. 1945 წლიდან დღემდე ამ სამმართველოს არ ერთხელ არ შეუსრულებია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. ს ჭირო იქნება ამიერკავკასიის მეტალურგიული მშენის ტრესტმა ნამდვილად მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი და უზრუნველყოს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ობიექტების მშენებლობა ყოველთვიური გეგმების შესრულება.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივს, რომელიც ამჟამად უკვე მეექვსე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს, შეგნებული აქვს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც მას ეკისრება მეექვსე ხუთწლედში მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის გადიდების, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ქალაქის კეთილმოწყობის დარგში.

ჭიათურელი მაღაროელები შეძლებენ მათ წინაშე მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულებას, წარმატებით დაამამყოფილებენ საბჭოთა კავშირის მეტალურგიის დ ექსპორტის გაზრდილ მოთხოვნილებებს მარგანეცის მაღალხარისხოვანი მადნ მიწოდებით.

შ. შეყლაშვილი,
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი.

საამქროს უფროსის მოხსენება პროპაგანდისტთა სემინარზე

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის ბიბლიოთეკაში მოეწყო პოლიტსკოლის პროპაგანდისტთა სემინარი, რომელზეც თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სამსხმელო საამქროს უფროსმა ინჟინერმა შ. თევზაძემ წაიკითხა მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ. მომხსენებელმა კარგად გააშუქა პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები და თეორიული მასალა დაუკავშირა თავისი საწარმოს ყოველდღიურ ცხოვრებას.

— ქარხანა, — თქვა ამხ. თევზაძემ, — ძირითადად ამზადებს სხვადასხვა იარაღ-მანქანებს ღვინის ქარხნებისათვის. საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის დავალება შესრულებულია 102,5 პროცენტით. მომხსენებელმა პროპაგანდისტებს უამბო იმის შესახებ, რომ ქარხნის საწარმოო სიმძლავრე 1955 წლის დამლევისათვის 1950 წელთან შედარებით ოთხჯერ და მეტად გადიდდება. ამ მიზნით „შესრულდა მთელი რიგი წინასწარი სამუშაოები — სამსხმელო და სამჭედლო საამქროებში დადგეს ახალი ჩარხები და დანადგარები. შემდეგ მომხსენებელმა პროპაგანდისტებს გააცნო ქარხნის განვითარების პერსპექტივები მომავალ ხუთწლედში.

მოხსენებამ, რომელიც ადგილობრივ მასალებზე იყო აგებული, მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საუბარში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლიტსკოლის პროპაგანდისტებმა ნ. კარსანიძემ, მ. ლაშაურმა და სხვ.

მიჩურინული მაჯერიალისტური მოძღვრების ზეიმი ბიოლოგიაში

საბჭოთა მეცნიერული საზოგადოებრიობა, ხოლო მასთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავენ გამოჩენილი რუსი ბიოლოგ-მატერიალისტის, ცოცხალი ბუნების დიდი გარდამქმნელის ივან ვლადიმერის-ძე მიჩურინის დაბადების მეასე წლისთავს.

განაგრძობდა და ავითარებდა რა ჩარლზ დარვინის კეთილშობილური მოძღვრების შეცნიერულ საფუძვლებს, ი. ვ. მიჩურინმა ეს მოძღვრება აიყვანა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, გადააქცია იგი მეცნიერებიდან, რომელიც ძირითადად მხოლოდ განმარტავს ორგანულ სამყაროს, მეცნიერებად, რომელმაც ამ სამყაროს გეგმაზომიერი გარდაქმნის ფართო პერსპექტივები გადაშალა.

თანმიმდევრულად იყენებდა რა ბიოლოგიურ მეცნიერებაში დიალექტიკურ მატერიალიზმს, მიჩურინმა გვაჩვენა შესანიშნავი მაგალითი ბუნებისმეტყველების ნაყოფიერი გარდაქმნისა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ბაზაზე.

თავის მოძღვრებას ცოცხალი ბუნების განვითარების კანონების შესახებ, ადამიანმ მიერ მათი შეგნებული გამოყენების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ მიჩურინი ქმნიდა არა პრაქტიკისაგან დაშორებით, არამედ ცხოვრებასთან მჭიდრო ერთიანობით, სოფლის მეურნეობის მწარმოელთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებს, სელექციონერთა მრავალი თაობის დაუღალავი სჯა-ბაჯანობის განზოგადების საფუძველზე. ამასთან უდიდესი როლი შეასრულა მეცნიერის საკუთარმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა. მიჩურინმა, რომელსაც ამოძრავებდა პატრიოტული მისწრაფება გაემდიდრებინა რუსეთის ხალ-კენკრის კულტურების ასორტიმენტი, შექმნა კულტურულ მცენარეთა 300-ზე მეტი ახალი ჯიში. მათ შორის არის შესანიშნავი ჯიშები ვაშლისა, მსხლისა, ქლიავისა, ალუბლისა, ყურძნისა, გარგარისა, აქტინიდისა, ნუშისა და სხვა კულტურებისა, რომლებიც ჩვენი სამშობლოს შუა და თვით ჩრდილოეთი ზოლის კლიმატური პირობებისადმი დიდი გამძლეობით განირჩევიან.

* * *

ი. ვ. მიჩურინმა სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. იმ დროს ბიოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას ჯერ კიდევ არა ჰქონდა ორგანული ფორმების მიზანმიმართული შეცვლის საჭირო მეცნიერული თეორია. ამასთან ამ დარგის დაუფლებაც, რომელსაც მეცნიერებამ მიაღწია, მიჩურინს შეეძლო მხოლოდ დამოუკიდებელი, შეუპოვარი შრომის შედეგად. ხელმოკლეობის გამო მას საშუალება არა ჰქონდა მიეღო ოფიციალური უმაღლესი განათლება და გულმოდგინედ ეწყოდა თვითგანვითარებას, სწავლას ავსებდა ცდებით მიწის პაწაწინა ნაკვეთზე. და ვერც ნახევრად მშიერმა არსებობამ, ვერც უზომო მუშაობამ, ვერც სამეცნიერო ძიების პირველი წლების წარუმატებლობამ ვერ გატეხა მისი მძლავრი სული, ვერ ჩააქრო მისი მგზნებარე გულის ალი. ძლევდა რა ყველა სიძნელესა და გაჭირვებას, მიჩურინი მამაცურად მიდიოდა ცოცხალი ბუნების საიდუმლოებათა შეცნობის საკუთარი გზით, რომელიც მან აირჩია. იგი არ სჯერდებოდა ამდროინდელ მეცნიერებასა და პრაქტიკაში ცნობილი მეთოდების გამოყენებას, იმუშავებდა ახალი ჯიშების გამოყვანის თავის ხერხებს, რომლებიც წინათ არ ყოფილა ცნობილი. ამის პირველი წარმატებანი მოჰყვა მუშაობაში. მიჩურინის სარეგენტში ჩნდება ახალი, წარსულში უნახავი ხალ-კენკრის მეცნარეები, რომლებიც სავსებით შეგუებული არიან რუსეთის შუა ზოლის პირობებს და ამავე დროს თავიანთი გემოით და გამძლეობით არ ჩამოუვარდებიან სამხრეთ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საუკეთესო ჯიშებს.

მიღებულმა შედეგებმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა ახალგაზრდა მეცნიერი, შეუქმნა მას ახალი გეგმები და შემოქმედებითი განწყობილება. მაგრამ სახსრების ნაკლებობა, შეფის მთავრობის მხრივ დაბრკოლების გაუწევლობა და უყურადღებობა სულ ახალ და ახალ დაბრკოლებებს ქმნიდა ამ გეგმების განხორციელების გზაზე.

„რევოლუციამდე, — წერდა ი. ვ. მიჩურინი,—ჩემს სმენას ყოველთვის შეურაცხყოფდა უმეცარი მსჯელობა იმაზე, რომ ჩემი მუშაობა საჭირო არ არის, იმაზე, რომ მთელი ჩემი მუშაობა „ჩხირკედელაობაა“, „სისულელეა“. მოხელეები დეპარტამენტიდან მეყვიროდნენ: „არ გაბედო!“ ოფიციალური სწავლულები ჩემს ჰიბრიდებს „უკანონოდ შობილად“ აცხადებდნენ. ხუცები მემუქრებოდნენ: „ნუ მწვალებლობ! ღვთის წალკოტს სასოსკიპოდ ნუ ხდი!“ (ასე ახასიათებდნენ ჰიბრიდიზაციას)“ (თხზ., ტ. 1, გვ. 602-603, 1948 წ. გამოც.).

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მიეცა ფართო გასაქანი მიჩურინის საქმეს. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, მიუხედავად ნგრევისა რუსეთში, საბჭოთა მთავრობამ ვ. ი. ლენინის ინიციატივით ი. ვ. მიჩურინს მისცა საჭირო სახსრები მისი კვლევის მასშტაბების უდიდესი გაფართოებისათვის, მის ფიერ შექმნილი ჯიშების გავრცელებისა და მისი მოძღვრების პოპულარიზაციისათვის. შემდეგში მიჩურინს ხელმძღვანელობით შეიქმნა ჩრდილოეთის მუხლეობის სპეციალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, გენეტიკის ცენტრალური ლაბორატორია და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებანი.

„საბჭოთა ხელისუფლამ, — სწერდა მიჩურინი 1934 წელს ი. ბ. სტალინს,—ხალ-კენკრის მეცნარეთა ახალი ჯიშების გამოყვანისა და მეცნარეთა ახალი ორგანიზმების შექმნის პატარა საქმე, რომელიც მე 60 წლის წინათ დავიწყე უბადრუკ საკარმიდამო ნაკვეთზე, გადაქცია სამრეწველო მეხილეობისა და მეცნიერული მეცნარეობის უდიდეს სრულიად საკავშირო ცენტრად, რომელსაც ჰქვს ათასობით ჰექტარი ბაღები, ჩინებული ლაბორატორიები, კაბინეტები, ჰყავს ათობით მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები.

საბჭოთა ხელისუფლამ და პარტიამ, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, მეც გადამაქცია მარტოხელა მცდელედან, რომელსაც არავინ არ სცნობდა და რომელსაც დასცინოდნენ ოფიციალური მეცნიერება და შეფის მიწათმოქმედების დეპარტამენტის მოხელეები, ასეულ ათასობით მცენარეზე ცდების ხელმძღვანელად და ორგანიზატორად“ (იქვე, გვ. 599).

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მიჩურინის შემოქმედებითი საქმიანობის ახალი აყვავება. მეუხედავად ხანში შესულობისა, საბჭოთა ხელისუფლების დროს სიცოცხლის 18 წლის მანძილზე მან მეურნარეთა ერთიორად მეტი ახალი ჯიშები შექმნა, ვიდრე ცარიზმის პირობებში მუშაობის 43 წლის განმავლობაში.

ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის საბჭოთა მთავრობამ ი. ვ. მიჩურინი დაჯილდოვა ლენინის ორდენითა და შრომის წითელი დროშის ორდენით. ქალაქ კოზლოვს, რომლის გარეუბანშიც ცხოვრობდა და შრომობდა მეცნიერი, დაერქვა ქალაქი მიჩურინსკი. ი. ვ. მიჩურინს მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ იგი თავის საპატიო წევრად აირჩია.

* * *

ბიოლოგიას მეცნიერული საფუძვლები ჩაუყარა XIX საუკუნის შუა ხანებში დიდმა ინგლისელმა ბუნებისმეტყველმა ჩ. დარვინმა. დარვინის მოძღვრებამ გამანადგურებელი ლანძღვა ჩასცა რელიგიურ ლეგენდას იმის შესახებ, რომ ცხოველები და მცენარეები ღმერთმა გაჩინა. ამ მოძღვრებამ შესაძლებელი გახადა, რაიმე ღვთაებრივი ძალებისადმი მიუმართავად, ბუნების კანონების დახმარებით ახსნა ყველა იმ არსებათა წარმოშობისა, რომლებიც ამჟამად დედამიწაზე ცხოვრობენ. განსაზღვრავდა რა ცოცხალ ბუნებაში ფორმათა წარმოქმნის პროცესების მიზეზებს, დარვინი სამართლიანად მიგვითითებდა ცხოვრების პირობების ცვლილებაზე. მაგრამ მეცნიერმა ვერ შეძლო რამდენადმე დაწვრილებით შეესწავლა ეს საკითხი. იგი შემდგომ დამშეშავეს თავიანთ შრომებში ე. გეკელმა, ი. მ. სეჩენოვმა, კ. ა. ტიმირიაზევმა, ი. ი. მეჩნიკოვმა, ლ. ბერბანკმა, ბ. კამერერმა და სხვა ბიოლოგმა-მატერიალისტებმა, რომლებაც გვასწავლიდნენ, რომ გარემოს ცვლილებას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქვს ორგანული ევოლუციისათვის.

ამ მეცნიერულ, მატერიალისტურ მიმართულებასთან ერთად ბიოლოგიაში ფართოდ გავრცელებულია მისი საწინააღმდეგო რეაქციული, იდეალისტური მიმართულება მენდელ-ვეისმან-მორგანისა, უარყოფს რა მატერიალისტურ დებულებას ორგანიზმების განვითარებაში გარემოს განმსაზღვრელი როლის შესახებ. ვეისმანიზმ-მორგანიზმი ცდილობს საბოლოო ანგარიშით სახელი გაუტეხოს დარვინიზმს და აღადგინოს რელიგიური ზღაპარი სამყაროს შექმნის შესახებ.

ი. ვ. მიჩურინის შრომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ბიოლოგიაში იდეალიზმის წინააღმდეგ მატერიალიზმის ბრძოლაში. ამ შრომებმა შესაძლებელი გახადა ბოლომდე გამოგვეაშკარავებინა ვეისმანიზმ-მორგანიზმის ანტიმეცნიერული ხასიათი და დაგვეცვა დარვინის მოძღვრების მატერიალისტური ბირთვი. ამავე დროს ამ შრომებმა გამიდიდრა დარვინიზმი, დასაწყისი მისცა ახალ ეტაპს მის წინსვლითს განვითარებაში. თავისი მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა შედეგით მიჩურინმა უცილობლად დაამტკიცა, რომ გარემოს ცვლილება არა მარტო იწვევს ორგანიზმების ამა თუ იმ ცვლილებებს, არამედ კიდევაც განსაზღვრავს ამ ცვლილებათა თვისებასა და მიმართულებას.

ორგანიზმების განვითარებაში გარემოს როლის ღრმა გაგებამ შესაძლებლობა მისცა მიჩურინს შეემუშავებინა ცოცხალი ბუნების მართვის ეფექტიანი მეთოდები. ამ მეთოდებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შორეული ჰიბრიდიზაცია (შესაჯვარებელი ფორმების სისტემატური ნათესაობის, აგრეთვე მათი გეოგრაფიული წინადრომის მიხედვით) ჰიბრიდული ნათესავრების შემოგომი აღზრდით. მიჩურინს შეუფუძნებლად მიაჩნდა ახალი ორგანული ფორმების გამოყვანის მთელი საქმის, ზოგადი ამ შემთხვევითი ხელსაყრელი გადახრების უბრალო შერჩევით, რომლებსაც თვით ბუნება იძლევა. მთელ თავის სიცოცხლეში იგი ხელმძღვანელობდა შესანიშნავი პრინციპით: **„ჩვენ ვერ დავველოდებით წყალობას ბუნებისაგან; ჩვენი ამოცანაა გამოვართვათ ეს წყალობა მას“.** (იქვე, გვ. 605).

ი. ვ. მიჩურინი არა მარტო ფართოდ იყენებდა შორეულ ჰიბრიდიზაციას, არამედ მთელ მის გამოყენებას პრინციპულად სხვა საფუძველზე ახორციელებდა, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა. ჰიბრიდიზაცია მას სჭირდებოდა არა მხოლოდ როგორც იმის საშუალება, რომ ერთ ორგანიზმში გაერთიანდეს მშობელი ფორმების დამახასიათებელი სხვადასხვა სასარგებლო ნიშნები. მისი საშუალებით იგი უშინაგანეს ყოველსა აღწევდა ჰიბრიდის მემკვიდრეობითი საფუძვლის შერყევას, ესე იგი ისეთი ორგანიზმების მიღებას, რომლებიც პლასტიკური იქნებოდა, რომელთა შემდგომი აღზრდა შესაძლო იქნებოდა გარეგანი პირობების დახმარებით.

ჰიბრიდების აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ მეთოდად მიჩურინი ფართოდ იყენებდა მის მიერ შემუშავებულ მენტორის მეთოდს. ეს მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ჰიბრიდის ამა თუ იმ საჭირო თვისების მისაღებად მასზე ამყნიან იმ ძველი ჯიშების კალმებს, რომლებსაც ეს თვისება ახასიათებს, ან, პირიქით, ჰიბრიდის კალმებს ამყნიან შესაბამისი ძველი ჯიშების ხეთა კრონაში. ასე მიღებულ იქნა შესანიშნავი ჯიშები ვაშლი „ბელფლორ-ჩინური“ და „კანდილ-ჩინური“, მსხალი „ბურგამოტ ნოვიეი“, ალუბალი „ჩრდილოეთის მშვენება“ და ბევრი სხვა.

მიჩურინმა ჩამოაყალიბა მთელი რიგი მეცნიერული პრინციპები, რომლებთაც უნდა ვიხელმძღვანელოთ შეჯვარებისას მშობელი წყვილების შესარჩევად. მან გამონახა იმის საშუალებანი, რომ გადაელახა ერთმანეთისაგან დაშორებული ამა თუ იმ ორგანული ფორმების შეუჯვარებადობა. ამ საშუალებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მშობელი ფორმების წინასწარი ვეგეტაციური დაახლოება, შუამავლის მეთოდი, მტვრიანას ნარევის გამოყენება და ა. შ.

ი. ვ. მიჩურინს ეკუთვნის ის დამსახურება, რომ მან აღმოაჩინა მეთოდი მეცნარეთა აკლიმატიზაციისა სამხრეთის მცენარეების თესლის უფრო ჩრდილოეთ რაიონებში დათესვის გზით. მან მიგვითითა ეგრეთწოდებული საფეხურული აკლიმატიზაციის მეთოდის მნიშვნელობაზე. ამ მეთოდის გამოყენებით გამოყვანილ იქნა „ჩრდილოეთის გარგარი“ და ბალი „ჩრდილოეთის მერცხალი“. მიჩურინმა შეიმუშავა ახალი ორგანული ფორმების მიღების მთელი რიგი სხვა წესები და ხერხები. ყველა ამ წესმა შემდგომში ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა და ამჟამად ფართოდ არის გამოყენებული სელექციონერ-მიჩურინელთა პრაქტიკაში.

მიმართავდა რა თავ

პროფორგის დღე

ამას წინათ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა სახლმა გორკის სახელობის კულტურის სახლში მოაწყო „პროფორგის დღე". ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნენ პროფმუშაობის აქტივისტები თბილისის მთელი რიგი საწარმოებიდან.

„პროფორგის დღემ" შინაარსიანად და საინტერესოდ ჩაიარა. პროფმუშაობაში თავიანთი გამოცდილების შესახებ აქტივს მოუთხრეს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ლითონსამსხმელო საამქროს პროფკომბიუროს მდივანი ი. მელაძემ, თამბაქოს მეორე ფაბრიკის თამბაქოს სატენი საამქროს პროფკომბიუროს მდივანი ე. სამხარაძემ, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ამწყობი საამქროს პროფორგანიზატორმა ინ. ერემერმა თ. დევდარიანმა, მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვი საამქროს პროფკომბიუროს მდივანი გ. კრაწაშვილმა.

მათ აღნიშნეს, რომ რეგულარულად იწვევენ საწარმოო თათბირებს და მუშათა კრებებს, სადაც ხდება წარმოების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; მოუთხრეს თავიანთი გამოცდილების შესახებ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში, განსაკუთრებით შეჯიბრების შედეგების აღრიცხვის მოწესრიგებაში.

ორატორებმა დამსწრეებს გააცნეს თავიანთ საამქროთა კოლექტივების მიღწევები და ის გზები, რომლებითაც ეს მიღწევებია მოპოვებული.

პროფჯგუფორგების გამოსვლების შემდეგ აქტივისტებისათვის გაიმართა ლექცია „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და კონკრეტი საწარმოთა თვითმოქმედი წრეების მონაწილეობით.

„პროფორგის დღე" უნდა გაიმართოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებშიც. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამ „დღის" მოწყობას საუკეთესო შედეგი მოაქვს მოწინავე პროფაქტივისტთა გამოცდილების გავრცელებაში.

ს. რასტი,

საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორი.



სურათზე: კისისხეველი კოლმეურნეები

საკვების დამზადებაში დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს

ამბროლაურის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მუშაობა პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. განსაკუთრებით აღსანიშნავია რძისეულ-ცვილისებრ სიმწიფეში შესული სანაწვეროლო სიმინდის დასილოსების მოწყობა. ახანოეთის, მეორე ტოლის, ჭყვიშის, ღადიშის, ღვარდიის, თხმორის, ცახის, სინათლის, ჭელიაღელის, აგარა-უყეშისა და თლუღის კოლმეურნეობებმა სილოსის ჩადების გეგმა უკვე შეასრულეს. მაგრამ ეს არ შველის დასილოსების რაიონული გეგმის შესრულებას. 10 ოქტომბრისათვის ჩადებული იყო 6.553 ტონა სილოსი, გეგმა კი 9.000 ტონას ითვალისწინებს.

ამ მხრივ სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხედებით ცალკეულ კოლმეურნეობებში. ფუტიეთის, კრიხის, კორტის, საკეციის, ზნაკვისა და ჩორჯოს კოლმეურნეობებმა გააჭიანურეს საკვების დასილოსება.

ამბროლაურის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ბოჭორიშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი პ. გეწაძე) 15 სექტემბრამდე უნდა დაემთავრებინათ 115 ტონა სილოსის ტევადობის ტრანშეის მშენებლობა. მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ მშენებლისადმი ხელმძღვანელობა დაივიწყეს. საშენი მასალის უქონლობის გამო მუშები სისტემატურად ცდებოდნენ. ტრანშეა ჯერაც დაუმთავრებელია. კოლმეურნეობამ 3 ჰექტარზე დათესა სანაწვეროლო სიმინდი. ისიც ვერ გათოხნეს, არ დაიცვეს პირუტყვისაგან და ნათესი მთლიანად განადგურდა. ახლა კოლმეურნეობა იძულებულია დასასილოსებელი მწვანე მასა მეზობელი კოლმეურნეობიდან შემოზიდოს.

ლიხეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ს. ლომჯანიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ბეშიძე) 260 ტონა ტევადობის სასილოსე ახალი ნაგებობანი უნდა აეგო. მშენებლობა დაიწყო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იმის ნაცვლად, რომ ამ საქმისადმი საჭირო ხელმძღვანელობა გაეწია, მშენებლობისათვის განკუთვნილი ორი ტომარა კირი იქვე მდინარე ხეორში ჩაყარა, ხოლო შაბათობაზე მისული მშრომელების დიდი ნაწილი მთელი დღე მოწამლულ თევზს იჭერდა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ თავმჯდომარის ასეთ დანაშაულს საკოლმეურნეო და ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციები არ გამოხმაურებიან. საინტერესოა, ვინ მფარველობს დამნაშავეს. აქ ახლაც მშენებლობის პროცესშია 150 ტონა სილოსის ტევადობის ორი ტრანშეა.

ეს ნაკლოვანებანი თავისთავად როდი გამოსწორდება. პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა კონკრეტული დახმარება უნდა გაუწიონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, აღკვეთონ საკვების დამზადებისადმი უდარდელი დამოკიდებულება.

ა. ბეშიძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ველისციხეში სწრაფად თესავენ

ჯოჯორეთის რაიონის ველისციხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ზონის კოლმეურნეობებში დათესილია 1.730 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები, გეგმა კი 2.500 ჰექტარს ითვალისწინებს. ბორცლის თესვა დაამთავრეს სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა", ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანებამ" და სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი რ. მოსესოვი).

თესვის დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ მეოთხე, მეშვიდე და პირველი სატრაქტორო ბრიგადები (ბრიგადირები ა. გოჩინაშვილი, ი. რუაძე და ს. ნატროშვილი).

ველისციხელი მექანიზატორები საშემოდგომო თესვას 25 ოქტომბრამდე დაამთავრებენ.

ბ. ბერეკაშვილი,

მტს-ის პარტბიუროს მდივანი.

ხელოვნების ამგები

ლენინგრადის სახელმწიფო ესტრადის მსახიობთა გასტროლები

ერთი კვირის განმავლობაში თბილისში გასტროლიორ იმყოფებოდა ლენინგრადის სახელმწიფო ესტრადის მსახიობთა კოლექტივი საკავშირო საესტრადო კონკურსის ლაურეატის ა. ბლეხმანის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით.

თბილისში ჩამოსვლამდე ესტრადის კოლექტივი გასტროლიორ იყო როსტოვში, კისლოვოდსკში, პიატიგორსკში, ბაქოსა და ერევანში. თბილისში იგი კონცერტებს მართავდა ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში.

კონცერტებმა თბილისელ მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. დიდი წარმატება ხვდა როგორც ნიჭიერ მსახიობს, მუსიკოსს, დეკლამატორს და მიმიკოსს ალექსანდრე ბლეხმანს, ისე მთელ კოლექტივს, რომელიც გამოდის საესტრადო-მუსიკალური პროგრამით „სხვადასხვა მისამართით" (რეჟისორი ა. ბელინსკი, მხატვარი სტალინური პრემიის ლაურეატი ხ. მანდელი, ქორეოგრაფი ნ. პალეარი).

წარმატება ხვდა ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობის ბ. ბენციანოვის გამოსვლას. სიზუსტით და რიტმულობით გამოირჩეოდა ეონგლიორ ფ. სავჩენკოს შესრულება. საესტრადო ორკესტრმა ა. ბლეხმანის ხელმძღვანელობით შეასრულა ფანტაზია ჩარლი ჩაპლინის კინოფილმების მელოდიების თემაზე, მოლდავური ხალხური „დონა", მელოდიები კინოფილმებიდან „დაბრუნდი სორენტოში", „სიმღერები ქუჩებში" და სხვ.

ახალი სპექტაკლი

მიმდინარე სეზონის პირველ პრემიერად 18 ოქტომბერს გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ა. შტეინის დრამა „პერსონალური საქმე".

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის თეატრის მთავარ რეჟისორს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ა. თაყაიშვილს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ი. შტენბერგს.

მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ა. ზაგორსკი, კ. მიუფკე, ე. ხატინა, დ. სლავინი, ა. სმირანინი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. ბურმისტროვა, ლ. ვრუბლევსკაია, ბ. ვიაზემსკი, ი. მაქსიმოვა, ა. სმირნოვა, მსახიობები ა. ბონდარენკო, ი. კირილოვა და ი. ლიუბარსკი.

ოლღა დოლიძის შემოქმედებითი საღამო

სოხუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სოხუმში აფხაზეთის ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა რუსეთის დამსახურებული არტისტის, ესტრადის საკავშირო კონკურსის ლაურეატის ოლღა დოლიძის შემოქმედებითი საღამო.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ა. აკრამმ, სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ნ. კანდელაკმა, აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტმა ხ. ბულმანმა, პოეტმა გ. გუბლიამ გულთბილი სიტყვებით მიმართეს ოლღა დოლიძეს და უსურვეს მას შემდგომი წარმატებანი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი ოლღა დოლიძის მონაწილეობით.

საორგანო მუსიკის საღამო

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამ დღეებში გამართა პროფესორ ირეკი რეინბერგერის (ჩეხოსლოვაკია) საორგანო მუსიკის საღამო.

კონცერტზე ი. რეინბერგერმა დიდი ოსტატობით შეასრულა ი. სველინკის „ვარიაციები ხალხურ სიმღერებზე", ი. ბახელბელის „პრელუდია", „ფუგა" და „ჩაკონა", ლ. კლერამბოალის „სიუიტა" და სხვ. განსაკუთრებული სიძლიერით ეღერდა ი. ბახის „პრელუდია", „ფუგა ე-მოლი", „პასტორალი" და „ტოკატა დ-მოლი". კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

მეტი ყურადღება საბურთალოს მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას

უკანასკნელ წლებში სწრაფად გაიზარდა და დასახლდა საბურთალო — თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ახალი უბანი. აშენდა სამედიცინო, პოლიტექნიკური, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტების სასწავლო კორპუსები და ასობით საცხოვრებელი სახლები. განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო ინდივიდუალურმა მშენებლობამ. ვეძისისა და დელისის მიდამოები დაიფარა მკვიდრად ნაგები ლამაზი კოტეჯებით. გამრავლდა მოსახლეობა და მანამდე უკაცრიელ ადგილებში მჩქეფარე ცხოვრება დამკვიდრდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საქალაქო საბჭო ყურადღებას არ აქცევდეს ამ უბანს, მაგრამ ღონისძიებანი, რომლებიც საბურთალოს კეთილმოწყობის, მისი მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ხორციელდება, სრულად არ არის საკმარისი და დიდად ჩამორჩება უბნის დასახლების ტემპს.

ცუდი მდგომარეობაა ქუჩების მშენებლობისა და კეთილმოწყობის მხრივ. წვიმიან ამინდში ბევრ ქუჩაში გაუვალი ლაფი დგება და ათასობით მოსახლეს სახლში მისვლა უძნელდება. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გზების, ხიდების ექსპლოატაციის, მშენებლობის, შეკეთების და მოწესრიგების მეურნეობის სამმართველო (უფროსი ბ. მარშანია) შეუუწყნარებლად აჭიანურებს საბურთალოში ქუჩების მშენებლობას და კეთილმოწყობას, ამასთან სამუშაოს უხარისხოდ ასრულებს. გეგმით წელს სამმართველოს ლუკასგზურების ქუჩისა და ნანეიშვილის პროსპექტის მოკირწყვლა და ტროტუარებზე ასფალტის დაგება დაევალა. სამუშაოთა მწარმოებელი ვ. კოკაია ადრიან გაზაფხულზე შეუდგა საქმეს, მაგრამ დღემდე ლუკასგზურების ქუჩის მშენებლობაც კი ვერ მოათავა. ტროტუარიდან არ გააქვთ დაყრილი მიწა, ასფალტის დაგებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამავე სამმართველოს არ მოუთავებია 1953 წელს დაწყებული ბესარაბიის ქუჩისა და 1954 წელს დაწყებული ლერმონტოვისა და ოდესის ქუჩების მშენებლობა. ეს ქუჩები, მართალია, როგორც იქნა მოკირწყლეს, მაგრამ ტროტუარები დღემდე გაუკეთებელია. საყურადღებო ერთი ფაქტი: ვიბორგის ქუჩაზე ტროტუარი მოასფალტებულია, მაგრამ ქალაქის ცენტრიდან მომავალი მგზავრი ვიდრე ვიბორგის ქუჩას მიაღწევდეს, ბესარაბის ქუჩაზე მუხლამდე ლაფში ჩაიფლობა. ეს მდგომარეობა რომ გამოსწორდეს, საჭიროა ბესარაბიის ქუჩაზე ტროტუარი მოასფალტდეს ავტობუსის გაჩერებიდან სულ ბევრი 100-150 მეტრის მანძილზე. მოსახლეობამ ამ საკითხზე არაერთხელ მიმართა ბ. მარშანიას, მაგრამ იგი ამ სამართლიან მოთხოვნას უყურადღებოდ ტოვებს.

ჩვეულებრივად ქუჩების მოკირწყვლას წინ უნდა უსწრებდეს მიწისქვეშა მეურნეობის მოწესრიგება — წყალსადენისა და კანალიზაციის ხილების, აგრეთვე ელექტროკაბელის კაბელების ჩაწყობა. საბურთალოზე კი პირიქით ხდება. დამთავრდება თუ არა ქუჩის მოკირწყვლა, მეორე დღესვე მოდიან მშენებლები ახალი ჯგუფები, ანგრევენ ახალდაგებულ ქვაფენილს, გაპაჟავთ არხები და აწყობენ წყალსადენის ან კანალიზაციის ხილებს. ასე მოხდა, მაგალითად, ბესარაბიისა და ოდესის ქუჩებზე. ცხადია, ყოველივე ეს დამატებით ხარჯებს იწვევს, ქუჩების მშენებლობაში ასეთ უთაურობას იმიტომ ვხედებით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება ვერ ახდენს სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის კოორდინაციას და რაციონალურად წარმართვას.

ახალგაყვანილი ქუჩების უმეტესობაზე მოწყობილი არ არის სამეურნეო-ფეკალური კანალიზაცია და საწრეტი ხილსადენები. „თბილკანალტრესტი", რომელსაც ეს საქმე ეკალება, თითქმის მუდამ შლის ამ სამუშაოთა გეგმის შესრულებას. „თბილკანალტრესტს" წელს კანალიზაციის ხილები უნდა ჩაეწყო კროსნოტადტისა და რიონის ქუჩებზე და ნანეიშვილის პროსპექტზე. ტრესტმა მხოლოდ 1 სექტემბერს მოახერხა სამუშაოთა დაწყება კროსნოტადტის ქუჩაზე, სადაც დღემდე ხილები ჩაწყობილია მხოლოდ 45 მეტრზე. როგორც ბრიგადირმა ა. ქავთარაძემ განაცხადა, ასეთი ტემპით თუ იმუშავეს, ისინი მარტო ამ ქუჩაზე კანალიზაციის გაყვანას 3-4 თვეს მოუნდებიან.

საბურთალოელთა დიდი სიხარული გამოიწვია 1953 წელს ამ უბანში ბანოს მშენებლობის დაწყებამ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სულ ბევრი ერთი წლის შემდეგ ბანოში შორს წასვლა აღარ დასჭირდებათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. მშენებლებმა რამდენჯერმე დაარღვიეს მშენებლობის დამთავრების ვადები. მართალია, უკანასკნელ ხანებში მშენებლობა გაძლიერდა, მაგრამ საჭირო მოწყობილობის უქონლობით ფერხდება საქვაბე მეურნეობის მონტაჟი.

მოუგვარებელია ტრანსპორტის საქმე. ავტობუსის № 14 მარშრუტი, რომელიც ვეძისსა და მარჯანიშვილის მოედანს შორის მოძრაობს, სრულიად ვერ აკმაყოფილებს ვეძისის ათასობით მოსახლის მოთხოვნილებას. მგზავრებს 20-25 წუთი, ზოგჯერ მთელი საათი ცდა უხდებათ ავტობუსის მოლოდინში და ძვირფასი დრო ეკარგებათ. დროა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ ვაადგილოს № 14 მარშრუტის მანქანების რაოდენობა. გარდა ამისა, აუცილებელია დაწესდეს ახალი საავტობუსო მარშრუტი ლენინის სახელობის მოედანსა და ვეძისს შორის. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ უბანში არც ტრამვაი მოძრაობს, არც ტროლეიბუსი.

ამჟამად ვეძისი დიდი და მჭიდროდ დასახლებული უბანია. აქ უკვე გაიხსნა პოლიკლინიკა, რომელსაც თითქმის ყველა სამკურნალო კაბინეტი აქვს, მაგრამ პატარა აფთიაქი, რომელიც საბურთალოს ბაზრის ახლოს მუშაობს, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. მოიწადდა ვეძისში აფთიაქის გახსნის საკითხი.

წელს საბურთალოში აშენდა ავტომატური ტელეფონის სადგური. დელისისა და ვეძისის მოსახლეობა მოელოდა, რომ მათთანაც მიაღწევდა ტელეფონის ხაზი. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. ვეძისის მრავალათასიან უბანში ერთი ტელეფონიც არ არის, რომ მოულოდნელი ავადმყოფობის შემთხვევაში მოსახერხებელი იყოს სასწრაფო დახმარების მანქანების გამოძახება, ან ხანძრის შემთხვევაში — სახანძრო რაზმში დარეკვა. თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის დირექცია დაპირებას უხვად იძლევა, მაგრამ მიცემული სიტყვის განაღდებისათვის არ ზრუნავს.

საბურთალოს მოსახლეობა მოკლებულია კულტურულ მომსახურებას. ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმულია 5-6 კილომეტრ მანძილზე, ჟურნალ-გაზეთების მხოლოდ ერთი კიოსკია. არ არის არც ერთი კლუბი ან კინოთეატრი. თბილისის საქალაქო საბჭომ უნდა გაითვალისწინოს ამ უბნის მოსახლეობის ეს გადაუდებელი საჭიროება.

ამ უბანში საპროდუქტო და სამრეწველო საქონლის მაღაზიების დიდი სიმეცრეა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ საბურთალოს საკულტურნო ბაზაში თითქმის ორასოდეს არ იშოვნება საჭირო პროდუქტები და მოსახლეობას სხვა, საკულტურნო ბაზრებში უხდება წასვლა. ამ უბნის მშრომელთა მომარაგებას იფერხებს ისევ ის უყურადღებობა, რომელსაც საბურთალოში არსებული სავაჭრო ქსელისადმი იჩენენ ზემდგომი სავაჭრო ორგანიზაციები. „თბილხილბოსტნეულსაბრის" დირექცია პირველ რიგში ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიებს ამარაგებს, ხოლო საბურთალოში გახსნილი № 26 და № 14 მაღაზიების მომარაგებისათვის ნაკლებად ზრუნავს. ამიტომ არის, რომ ამ მაღაზიებში მყოფელი ვერ მოულობს ფართო ასორტიმენტის ბოსტნეულსა და ხილს. ასევე ითქმის მარჯანიშვილის „თბილკვებავაჭრობის" დირექციაზე, რომელიც ცუდად ამარაგებს № 81 და № 34 მაღაზიებს.

ნაკლები ყურადღება ექცევა საბურთალოს საკვებო ქსელის დაკომპლექტებას შემოწმებული და კვალიფიციური კადრებით. ამის გამო აქ მოკალათებას ახერხებენ სხვა მაღაზიებიდან გაძევებული უღირსი მუშაკები, რომლებიც მომხმარებლებს მეტს ახდევინებენ, ზომასა და წონაში ატყუებენ. 15 სექტემბერს მარჯანიშვილის „თბილკვებავაჭრობის" № 81 მაღაზიაში გამყიდველი ი. ვარშოვა უხარისხო ლუდს ყიდდა. ამავე ტრესტის № 14 სასადილოს ზოოპარკის ფილიალში 16 სექტემბრის მომხმარებლისათვის მიტანილ კერძში ბუზი აღმოჩნდა. იქვე კერძის მიმტანად მუშაობდა ვინმე ვ. ჩიგოშვილი, რომელიც ბრძანებით ამ სამუშაოზე გაფორმებული არ იყო. „გასტრონომის" № 4 მაღაზიაში (ვამბა ბ. ჭკუასელი) 16 სექტემბერს მოლარე ლ. კაჭარავა მომხმარებელს კილოგრამ კარაქში 28 მანეთისა და 70 კაპიკის ნაცვლად 30 მანეთს ახდევინებდა. ასე გადაახდევინა, მაგალითად, მეცნიერ მუშაკთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე მომუშავე გ. ლისენკოს. შემოწმებისას სალაროში ზედმეტი ფული აღმოჩნდა. გარდა ამისა, წინასწარ აწონილი და შეფუთული კარაქის თითქმის ყველა შეხვევას წონაში 10-12 გრამი აკლდა.

დახლის უღირსი მუშაკების წყალობით დეფიციტური საქონელი ხშირად ხელში უვარდებათ სპეკულანტებს, რომლებიც საბურთალოს ქუჩებში კარდაკარ დაატარებენ და ზედმეტ ფასებში ყიდიან. ქალაქის მილიციის მე-20 განყოფილება კი გადამჩარელ ზომებს ვერ ახორციელებს ამ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ.

საბურთალოს მოსახლეობა მეტ ყურადღებას და უკეთეს მომსახურებას მოითხოვს.

მ. არაბიძე,
ა. გელოდანი,
ნ. უთურაშვილი.

რაგომ არ ზრუნავენ კურორტ ახალდაბის კეთილმოწყობისათვის?

ბორჯომის მხარის კურორტებს შორის ახალდაბის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. არაორგანიზებულ დამსვენებელთა გარდა, ზაფხულობით აქ დასასვენებლად ჩამოდის ბევრი პიონერთა ბანაკი და სამაგვარო ბალი.

ახალდაბის წარმტაც ბუნებას, სუფთა გრილ ჰავას, ბუნებრივ გამაგრილებელ და სამკურნალო წყლებს ბევრი მოაგარაკე მოუხიბლავს, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ კულტურული მომსახურება ჩამორჩება. კურორტს არა აქვს რადიოქსელი და ელექტროგანათება, კეთილმოწყობელია ქუჩები.

1953 წელს დაიწყეს ბორჯომიდან ელექტროხაზის გაყვანა. სამუშაო გასულ წელს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ დღემდე ჭიანურდება. ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლის ცენტრში სასმელი წყლის გაყვანას. ახალდაბის მიდამოები კი მდიდარია ანკარა ცივი წყაროებით.

შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული სოფლის მაღაზია და სასადილო. მათი კეთილმოწყობისათვის ნაკლებად ზრუნავს ბორჯომის რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობა.

ავარიულ მდგომარეობაშია თვით სასოფლო საბჭოს შენობა, სადაც მოთავსებულია აგრეთვე საავადმყოფოც. შეიძლებოდა საავადმყოფოს იქვე მახლობლად აფთიაქის ბინაში გადატანა.

წინათ სადგურ ახალდაბის მარჯანიშვილის მხარეს შერეულ ტყეში მოწყობილი იყო დასასვენებელი პარკი, ახლა პარკი შემოუღობავი და მოუწყობელია, არ არის სკამები.

სოფელ ახალდაბის ცენტრში და რკინიგზის სადგურთან ყოველდღიურად ეწყობა პატარა ბაზრობა, მაგრამ იმის გამო, რომ საკმარისად არ არის სავაჭრო მაგიდები, პროდუქტებს მიწაზე აწყობენ. ნუთუ არ შეუძლია ამ საქმეს მოგვარება ბორჯომის სამაზრო კომიტეტს?

არის სხვა მოუგვარებელი საკითხებიც: კურორტს არა აქვს ჰიგიენური ბანაო, აგრეთვე ავტოტრანსპორტი ბორჯომამდე მგზავრების გადასაყვან-გადმოსაყვანად.

საჭიროა ცალკეულ უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელება დაპირებებიდან საქმეთან დახმარებაზე გადავიდნენ და თავიანთი წვლილი შეტანონ კურორტ ახალდაბის კეთილმოწყობაში. („კომ". კორ.).

მიჩურინსკში გამოიყვანა ვაშლის მთელი რიგი შესანიშნავი ჯიშები, კერძოდ „ნაზი", „სუვოროვი", „შვეიწერის ხსოვნა" და სხვ. ვაშლის, მსხლის, მარწყვის ათობით ახალი ჯიში გამოიყვანა მოსკოვის ხილ-კენკრის საცდელი სადგურის ცნობილმა სელექციონერმა ა. ვ. პეტროვმა, მან შორის ვაშლის ისეთი საუცხოო ჯიშები, როგორიც არის „საიუბილეო", „დიდება", „გამარჯვება", „სადესერტო".

ახალი ჯიშების გამოყვანაში დიდი წარმატებები აქვთ ფეპალე-მიჩურინელებს ურალში, შორეულ აღმოსავლეთში, ციმბირში. მიჩურინის გარდაცვალების შემდეგ განვლილ წლებში მათ გამოიყვანეს ვაშლის, მსხლის, ალუბლის, ქლიავის, გარგარის, მოცხარის, ხურტკმელის, ყოლოს და ხილ-კენკრის სხვა კულტურების 250-მდე ადგილობრივი ჯიში. ვაშლის საუცხოო სიცივეგამძლე ჯიში გამოიყვანა ნარიმანოვის ბოხჩარის დასაყრდენი პუნქტის მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. ი. გვოზდიოვმა. შორეული აღმოსავლეთისათვის ვაშლისა და გარგარის მთელი რიგი ახალი ჯიშები შექმნა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შორეული აღმოსავლეთის (ხაბაროვსკი) სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვ. ბოლონიაევმა.

შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს მიჩურინელმა მეცხოველეებმაც. მარტო უკანასკნელ წლებში ჩვენს ყვეყანაში გამოყვანილია შინაური პირუტყვის 40 ახალი ჯიში. მათ შორის განსაკუთრებით ფართოდ ცნობილი გახდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის განსქმული კოსტრომული, აგრეთვე ლებედინური, ყაზახური, საჩოვური და სხვა ჯიშები; ცხენის ვლადიმირული ტვირთმზიდავი, ბუდეონოვური და თერგული ჯიშები, ყაზახური არხარ-მერინოსი, ცხვრის კავკასიური, ალტაური, კუბანშევური ჯიშები და პირუტყვის სხვა ჯიშები.

მაგრამ რა დიდიც უნდა იყოს ჩვენი ბიოლოგებისა და სელექციონერების მიღწევები ახალი ორგანული ფორმების შექმნის საქმეში, ეს კიდევ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მზარდ მოთხოვნებს. სოფლის მეურნეობის შემდგომი პროგრესი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას არა მარტო ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნით, არამედ კულტურულ მცენარეთა ახალი, უფრო მოსავლიანი ჯიშებისა და ცხოველთა უფრო პროდუქტიული ჯიშების შექმნითაც. სწორედ ამიტომ ამკვამად. როცა კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იბრძვიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, ახალი ორგანული ფორმების შექმნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეცნიერმა მიჩურინელებმა ყველაზე სრულად უნდა გამოიყენონ სელექციის მეთოდები, რომლებიც მიჩურინმა შეიმუშავა, ისინი მოწოდებული არიან დაუღალავად განავითარონ და სრულყონ ეს მეთოდები ბიოლოგიურ მოვლენათა არსში სულ უფრო ღრმად ჩაწვდომის საფუძველზე.

• • •

მიჩურინული ბიოლოგიური მოძღვრება წლითიწლობით სულ უფრო მეტად იპყრობს არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელ მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა ყურადღებას. მან განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ბულგარეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში.

ჩინეთში უკვე რამდენიმე წელიწადია არსებობს ი. ვ. მიჩურინის სახელობის მასობრივი სამეცნიერო საზოგადოება. მასში შედიან არა მარტო მეცნიერები და სტუდენტები, არამედ აგრეთვე გლეხები. ჩინეთის უნივერსიტეტებში სტუდენტებს უკითხავენ ლექციებს მიჩურინულ გენეტიკაზე. ჩინელი მეცნიერები იყენებენ მიჩურინის მეთოდებს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ახალი ჯიშების გამოსაყვანად. მათ დიდ წარმატებას მიაღწიეს, კერძოდ, ბამბის ახალი ჯიშის შექმნაში, რისთვისაც მოახდინეს ეგზიბიტის გრძელბოჭკოიანი ბამბის ჰიბრიდიზაცია ადგილობრივ ჯიშებთან. ჩინეთში დიდი ტრაქეთ გაშოდის ი. ვ. მიჩურინის ნაშრომები, აგრეთვე წიგნები და სტატიები მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიაში შექმნილია სახალხო ნოვატორ-მიჩურინელების ცენტრი. ყველა ოლქში მოწყობილია სახალხო მკვლევარ-მიჩურინელთა კლუბები. აქ ხშირად იმართება მეცნიერთა და მოყვარულ-მიჩურინელთა საღამო კონფერენციები. ფართო გაქანება მიიღო სკოლებში ახალგაზრდა მოყვარულ-მიჩურინელთა წრეების მუშაობამ. რამდენიმე წლის წინათ ჩეხოსლოვაკიაში შედგა მიჩურინელთა სრულიად პოლონეთის პირველი ყრილობა. მიჩურინელთა 1.300-ზე მეტი წრე მუშაობს რუმინეთის სოფლებში. ამ წრეებში გაერთიანებულია 20 ათასამდე მცდელი მიჩურინელი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საოფლო და სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან შექმნილია ცენტრალური მიჩურინული კომისია, რომელიც უშვებს მასობრივ ერთთვიურ ჟურნალს „მიჩურინული მოძრაობა".

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ბიოლოგთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უკვე დიდი ხანია დაიწყო თავის შრომებში მიჩურინული მოძღვრების სხვადასხვა მხარეების გამოყენება და განვითარება. მაგალითად, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ტრაიან სავულესკუმ ყვავილოვანი მცენარეებისა და მთელი რიგი იმ ორგანიზმების შესწავლის მაგალითზე, რომლებიც ამ მცენარეთა ამა თუ იმ დაავადებას იწვევენ, მოგვცა ახალი დადასტურება მიჩურინის დებულებისა ორგანული ფორმების ცვალებადობის ადეკვატური ხასიათის შესახებ. მის მიერ განხორციელებულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დაავადებისაგან მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. ბულგარეთში, პლოვდივის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, აკადემიკოსმა ხ. დასკალოვმა, გამოიყვანა რა პამიდორის ჯიშთაშორისი შეჯვარება, მიაღწია მოსავლიანობის გადიდებას 30 პროცენტით. საინტერესო შედეგები გამოიღო სხვადასხვა ბოსტნეული და მიწდერის კულტურების ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციის დარგში ჩატარებულმა ცდებმა, რომლებიც მოახდინეს რ. ვეორგიევმ, ე. ლამბროვმა, დ. კოლევმა და სხვებმა. იყენებენ რა სელექციის მიჩურინულ მეთოდებს, ქვაფის და ხორბლის ახალი ჯიშების გამოყვანაზე წარმატებით შრომობენ დიმიტროვული პრემიის ლაურეატები კირილე პავლოვი, ეფიკა ეფიკევა და სხვა მეცნიერები.

გამარჯვებანი, რომლებიც მიჩურინულმა მოძღვრებამ მოიპოვა სსრ კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ხელს უწყობენ მისდამი ინტერესის ზრდას კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მართალია, ბიოლოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი ძველ ჯერ კიდევ მენდელ-მორგანის გენეტიკის სქოლასტიკურ დებულებათა ტყვეობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრულ ვითარებაში და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, 1955 წლის 19 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ. ამ შეთანხმებით წესდება პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის. მოსკოვსა და ჰელსინკს შუა ფრენის უფლება ეძლევათ როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩინეთის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავებს. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის

გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ მოწინავე სტატია

პეკინი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ მოწინავე სტატიაში წერს, რომ ერთობლივ კომუნიკეს, რომელსაც 17 ოქტომბერს ხელი მოაწერეს პეკინში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის მდივანმა პენ ჯენმა და იაპონიის პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა ეიკიჩი კამბაიასიამამ, წვლილი შეაქვს შორეული აღმოსავლეთის მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ჩინელი და იაპონელი ხალხების მოთხოვნა, რომ ნორმალიზებულ იქნას ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. ჩინეთი და იაპონია ორი მეზობელი ქვეყანაა. მათ შორის კულტურულ და ეკონომიურ გაცვლას, აგრეთვე ამ ქვეყნების ხალხთა მეგობრულ ურთიერთობას ათასი წლის ისტორია აქვს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავის საგარეოპოლიტიკურ ურთიერთობაში ყოველთვის ხელმძღვანელობს მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპით. მას სურს ამ პრინციპების საფუძველზე მოახდინოს იაპონიასთან თავისი ურთიერთობის ნორმალიზება. ჩინეთის მთავრობას უკვე არაერთხელ მოუთხოვნია ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაცია. მაგრამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ამ ღონისძიებებს დღემდე არ გამოხმაურებია იაპონიის მთავრობა, რაც არ შეესაბამება იაპონელი ხალხის ინტერესებს.

„ჟენმინჟიბაო“ იმედს გამოთქვამს, რომ ერთობლივ კომუნიკეს მხარს დაუჭერს იაპონელი ხალხი; ჩინელი ხალხი, თავის მხრივ, მიიღებს ღონისძიებებს, რათა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ერთობლივი კომუნიკეს დებულებანი.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში კენჭი უყარეს ედგარ ფორის მთავრობისადმი ნდობის საკითხს. ნდობის საკითხი საპარლამენტო კამათის მსვლელობაში დააყენა ედგარ ფორმა. მან მოითხოვა მიეღოთ რეზოლუცია, რომელიც იწონებს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას ალეირში.

მას შემდეგ, რაც საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლები გამოვიდნენ კენჭისყრის მოტივებზე და ედგარ ფორმა წარმოთქვა სიტყვა მთავრობის პოზიციის შესახებ ალეირის საკითხში, მოხდა კენჭისყრა. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 308 დეპუტატმა და წინააღმდეგ — 254 დეპუტატმა.

ირანის სენაჯში

თეირანი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ირანის სენატი განიხილავდა კანონპროექტს უყრეთწოდებულ ბაღდადის პაქტთან ირანის შეერთების შესახებ, რომელიც მთავრობამ წარადგინა.

ზოგიერთი სენატორი გამოვიდა ამ საშინელი ბლოკში ირანის შესვლის წინააღმდეგ.

კერძოდ, სენატორმა დივანბეკიმ განაცხადა, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ქენევის თათბირის შემდეგ ირანს სრულიადაც არ სჭირდებოდა შუა აღმოსავლეთის პაქტთან შეერთება. „ეს პაქტი, თქვა მან, რეგიონალური პაქტი არ არის და მასში მონაწილეობა ირანს ენების მეტს არაფერს მოუტანს. შუა აღმოსავლეთის პაქტთან შეერთებით, განაგრძო სენატორმა დივანბეკიმ, ირანი შეიძლება აღმოჩნდეს ჩათრეული კონფლიქტში, მიუხედავად იმისა, თუ სად დაიწყება ეს კონფლიქტი, რადგან შუა აღმოსავლეთის პაქტი ერთი მხრივ დაკავშირებულია ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკთან, ხოლო მეორე მხრივ — სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების პაქტთან.

შეეხო რა ამერიკის „დაჭარბებას“ ირანისადმი, დივანბეკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ვერ შეედრება იმ მოგებას, რაც ამერიკის კომპანიებმა ერთი წლის განმავლობაში მიიღეს ირანის ნავთობის ამოღებითა და გასაღებით.

თეირანი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ირანის სენატმა 42 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ მოიწონა მთავრობის კანონპროექტი ბაღდადის პაქტთან ირანის შეერთების შესახებ.

პაკისტან - ავღანეთის ურთიერთობისათვის

კარაჩი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დოონი“ იუწყება პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა 18 ოქტომბერს განაცხადა, რომ პაკისტანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიწვიოს თავისი ელჩი ქაბულიდან. წარმომადგენელმა დასძინა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია როგორც საპასუხო ღონისძიება ავღანეთის მთავრობის ანალოგიურ მოქმედებაზე.

კარაჩის დიპლომატიური წრეების აზრით, ის გარემოება, რომ ავღანეთისა და პაკისტანის მთავრობებმა გაიწვიეს თავიანთ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, იმას არ ნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მოქმედებას უეჭველად მოჰყვება ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ახალი გამწვაება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხზე. სხდომაზე გამოვიდნენ დანიის, შვეიცის, პოლონეთის, არგენტინისა და სირიის წარმომადგენლები.

დანიის წარმომადგენელმა ა. ანდერსენმა განაცხადა, რომ დანია, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, რომლებსაც არ მოეპოვებათ ელექტროენერგიის ჩვეულებრივი წყაროები, განსაკუთრებით დაინტერესებულია იმით, რომ განვითარდეს ატომის ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით.

დანიის წარმომადგენელმა სხდომას აცნობა, რომ მისი მთავრობა „პრინციპულად ეთანხმება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს წესდების პროექტის ძირითად მონახაზებს, როგორც შემდგომი განხილვის კარგ საფუძველს“. ამასთანავე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდად მნიშვნელოვანია საგენტო მოეწყოს ყველა ქვეყნის თანასწორობის პრინციპზე.

შვეიცის წარმომადგენელმა სანდლერმა ხაზგასმით აღნიშნა: ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის ერთერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ სსრ კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს განკარგულებაში გადასცეს ხელჩაღი მასალები.

შეეხო რა საკითხს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს შექმნის შესახებ, შვეიცის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კომპეტენტურია გადაწყვიტოს საგენტოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთობის საკითხი. შვეიცის დელეგაციის აზრით, თქვა მან, დებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და საგენტოს მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საგენტოს ეფექტიან საქმიანობას, საგენტოს წესდების განუყოფელი ნაწილი უნდა იქნეს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა მ. ნაშკოვსკიმ განაცხადა, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკურმა კონფერენციამ გვიჩვენა საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითი. მაგრამ, თქვა მან, კონფერენციის მეცნიერულ-ტექნიკურმა ხასიათმა არ უნდა დაჩრდილოს მისი პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ კონფერენციის მოწვევა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო დაძაბულობის საერთო შენელების მეოხებით. მეცნიერთა თათბირი „ჟენევის სულისკვეთების“ ასახვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიღწევა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპთა განხორციელების მაგალითი იყო. ამიტომ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღოთ კონფერენციაში. ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულონ იმ მხრივ, რომ განვითარდეს საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის დარგში, რადგან მათ აქვთ ატომის ნედლეულის დიდი რესურსები და დიდად განვითარებული მეცნიერება და მრეწველობა.

მაგრამ, განაგრძო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატმა, იმ ბარიერების სავსებით მოსპობა, რომლებიც აფერხებენ ამ დარგში მეცნიერების პროგრესს, შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო მოეღება ატომის ენერგიის გამოყენებას იარაღის წარმოებისათვის.

ამ ორ პრობლემას შორის მჭიდრო კავშირი იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი და სამხედრო გამოყენების ტექნოლოგიური პროცესები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიმეორესთან. ატომური იარაღის გამოყენების აკრძალვა და კონტროლის იმ ეფექტიანი სისტემის დაწესება, რომელიც ამ აკრძალვის დაცვას უზრუნველყოფს, როგორც ეს მართებულად არის აღნიშნული საბჭოთა რეზოლუციის პროექტში, წვლილი იქნება რწმენის ატმოსფეროს განმტკიცებაში, რწმენისა, უფრო ლოსოდ შეუძლებელია ვილაპარაკოთ საერთაშორისო თანამშრომლობის სრულ პროგრესზე ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

ნაშკოვსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთის დელეგაცია სავსებით ეთანხმება მთელი რიგი ქვეყნების წინადადებებს, რომ მოეწყოს ასეთი საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციები ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხებზე, აგრეთვე მეცნიერების სხვა დარგების შესახებაც, და ეს კონფერენციები „ტექნიკური და ეკონომიური პროგრესის და მთლიანად საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია“.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა აგრეთვე სსრ კავშირის წინადადების იმის შესახებ, რომ შეიქმნას ატომის დარგის მეცნიერთა საერთაშორისო პერიოდული ბეჭდვითი ორგანო, რომელიც გააშუქებს ატომის ენერგიის გამოყენების საკითხებს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, აღნიშნა მ. ნაშკოვსკიმ, მრავალი წლის მანძილზე მოითხოვს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. პოლონეთი, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, დახმარებას მიიღებს ამ დარგში საბჭოთა კავშირისაგან. სსრ კავშირთან შეთანხმებით, თქვა მან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა 1955-56 წლებში საბჭოთა კავშირისაგან მიიღებს ატომგულის რეაქტორს მეცნიერული კვლევისათვის, ციკლოტრონს, შესაბამის მეცნიერულ და ტექნიკურ დოკუმენტაციას, ხელჩაღი მასალებისა და იზოტოპების საჭირო რაოდენობას. საბჭოთა მეცნიერები პოლონელ მეცნიერებს დაეხმარებიან ამ მუშაობაში. მთელი რიგი პოლონელი მეცნიერები ისწავლიან საბჭოთა კავშირში. საბჭოთა კავშირის ეს დახმარება, რომელიც არავითარ პოლიტიკურ მიზანს არ ისახავს, დიდ წვლილს შეიტანს ატომის მეცნიერების განვითარებაში და ხელს შეუწყობს პოლონელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა დაწვრილებით გააცნო სხდომას, თუ რა მუშაობას ეწევიან პოლონელი მეცნიერები ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

შეეხო რა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს, პოლონეთის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგენტო თავისი ამოცანების შესასრულებლად უნდა შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში და თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენებანი წარუდგინოს გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს, რომელსაც ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის.

საგენტო უნდა ესწრაფოდეს, რომ თავისი საქმიანობით მოიცვას სრულიად უდისკრიმინაციოდ ყველა ქვეყანა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს ამ საგენტოში. გაუწევს რა დახმარებას, საგენტომ უნდა იხელმძღვანელოს არა კომერციული მოტივებით, არამედ ქვეყნების საჭიროებით. რაც შეეხება საგენტოს ხელმძღვანელ ორგანოებს, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ გეოგრაფიული განაწილების პრინციპი, აგრეთვე წარმომადგენლობა ქვეყნებისა — როგორც იმათი, ვინც დახმარებას უწევს, ისე იმათი ვინც ამ დახმარებას იღებს. საგენტოს წევრი ქვეყნების ურთიერთობაში მტკიცედ უნდა იქნას დაცული თანასწორობის პრინციპი.

არგენტინის წარმომადგენელმა პლატემ მხარი დაუჭირა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს შექმნას, მაგრამ დასძინა, რომ არგენტინა, წინააღმდეგი იქნება საგენტო შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიმუშით, რომელშიც არსებობს „ვეტოს“ უფლება.

სირიის წარმომადგენელმა ახმედ შუქეირიმ დაწვრილებით ილაპარაკა საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის წარმატებებზე და თქვა, რომ ამ წარმატებებმა „ყოველ მოლოდინს გადააჭარბა“. ამასთანავე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უდიდესი მუშაობა, „სანამ სამყაროს თვითეული ატომი გახდებოდეს ატომი მშვიდობისათვის და მხოლოდ მშვიდობისათვის“.

შეეხო რა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს შექმნას, შუქეირიმ განაცხადა, რომ ეს საგენტო არ შეიძლება გაუთანაბრდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ დაწესებულებებს. საგენტო არის ორგანო, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. სათანადო მხარდაჭერით და ხელშეწყობა პირობებში ამ საგენტოს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვრელი ძალა გახდეს მშვიდობისათვის ბრძოლაში. ამიტომ საგენტოს განსაკუთრებული სტატუტი უნდა ექნეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას უნდა ექნეს სიტყვა საგენტოს ფუნქციებისა და წესდების განსაზღვრის საქმეში. ყველა სახელმწიფოს, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს საგენტოში, უნდა მიენიჭოს უფლება, რომ გახდეს საგენტოს წევრი, და არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ უნდა ეკავოს საგენტოში პრივილეგიური მდგომარეობა. რაც შეეხება საგენტოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთობას, განაგრძო შუქეირიმ, ჩვენი აზრით, ეს ურთიერთობაც განსაკუთრებული უნდა იყოს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საგენტო ყოველწლიურ საანგარიშო მოხსენებასა და საჭირო ინფორმაციას უდგენდეს გენერალურ ასამბლეას.

შუქეირიმ გაიხსენა ინდოელი მეცნიერის დოქტორ ბაბას სიტყვები იმის შესახებ, რომ გარკვეულ ვითარებაში შედარებით ძნელი არ არის მშვიდობიანი მიზნებისათვის განკუთვნილი ხელჩაღი მასალები ატომური ბომბების დასამზადებლად გამოიყენონო, და განაგრძო:

„ატლანტიდა იქნებოდა შეგვექმნა საგენტო, რომელიც შეძლებდა გაეადვილებინა, თუნდაც არაპირდაპირ, ატომური ბომბების წარმოება. სწორედ ამიტომ ჩვენ ვესწრაფვით იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ატომის საგენტოს შორის დამყარდეს უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა.

ქაკ დიუკლოს გამოსვლა მიჯინგზე პარიზში

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ პარიზში გაიმართა მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილ მდგომარეობას მიეძღვნა.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები ამჟამად ჩრდილოეთ აფრიკაში ახორციელებენ რეპრესიების პოლიტიკას, რაკი დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია თავიანთი ბატონობა შეინარჩუნონ ძველი მეთოდების დახმარებით. დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომპარტია მტკიცედ ილაშქრებს ეგრეთწოდებული „ინტეგრაციის“ პოლიტიკის წინააღმდეგ. ესე იგი საფრანგეთის შემადგენლობაში ალეირის სრული შეყვანის წინააღმდეგ, და მოითხოვს დაიწყოს მოლაპარაკება ალეირელი ხალხის ავტორიტეტიან წარმომადგენლებთან.

„საჭიროა ალეირელ ხალხთან დაიწყოს ისეთივე მოლაპარაკება, როგორიც წარმოებდა ტუნისელ ხალხთან და როგორიც ახლო მომავალში იწარმოებს მაროკოელ ხალხთან, — თქვა დიუკლომ. — საჭიროა ვაღიაროთ ალეირის ეროვნული პრობლემის არსებობა და სადავო არ გავხადოთ ალეირელი ხალხის უფლება თვითონ განაგებდეს თავის საქმეებს. მხოლოდ მოლაპარაკება შეუსაბამება საფრანგეთის ნამდვილ ინტერესებს.... ჩვენ, კომუნისტები, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის მებრძოლნი, ვცნობთ თვითეული ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. ამავე დროს ჩვენ ვაცხადებთ, რომ გამოყოფის უფლება სრულიადაც არ გულისხმობს, რომ გამოყოფა სავალდებულოა“.

აღნიშნა რა მიტინგის მონაწილეებს, რომ ეროვნულმა კრებამ ხმის უმრავლესობით ნდობა გამოუცხადა ფორის მთავრობას, დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მშრომელები ალეირელ ხალხთან ერთად განაგრძობენ ბრძოლას იმისათვის, რომ ალეირსა და მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში შეწყდეს სამხედრო ღონისძიებათა პოლიტიკა.

მიტინგზე სტუმრები წარმოთქვეს აგრეთვე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ჟანეტა ვეიმერშმა, დეპუტატმა ორანის (ალეირი) დეპარტამენტისაგან ალისა სპორტისმა და სხვებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იუგოსლავიაში

ზაგრები, 19 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 18 და 19 ოქტომბრის განმავლობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგატები იყვნენ ხორვატიის უდიდეს ქარხანაში — „რადე კონჩარის“ სახელობის ქარხანაში, აგურის ქარხანაში, დაათვალიერეს სურათების გალერია, სამავშვო სახლი. დელეგაციის ზოგიერთი წევრი იყო ხორვატიის კოოპერაციის მთავარ კავშირში და სავაჭრო პალატაში. გარდა ამისა, მოხდა საბჭოთა დეპუტატების შეხვედრა იუგოსლავიის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის მოღვაწეებთან. დეპუტატი ა. ე. კორნეიჩუკი შეხვდა ხორვატიის მწერალთა ჯგუფს.

საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციის წევრთა ჯგუფმა დაათვალიერა კინოსაწარმო „იადრან ფილმი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია დღეს სპეციალური მატარებლით გაემგზავრა ქალაქ სისაკში. აქ მან დაათვალიერა ნავთობსახდელი ქარხანა და მეტალურგიის კომბინატი. საღამოს, ხორვატიის კრების თავმჯდომარესთან ვლადიმერ ბაკარიჩთან დარბაზობისა და ვახშმის შემდეგ, დელეგაცია გაემგზავრება ქალაქ ოსიეკში.

თურქეთის დემოკრატიული პარტიის ყრილობა

სტამბოლი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). 15-18 ოქტომბერს ანკარაში მიმდინარეობდა თურქეთის მმართველი დემოკრატიული პარტიის მორიგი ყრილობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1.500-მდე დელეგატმა. ყრილობამ მოისმინა ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, რის შემდეგ მოეწყო პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ყრილობის წინ მეჯლისის 19 დეპუტატი — დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრები პარტიიდან გარიცხეს ან თვითონ გავიდნენ, რადგან არ ეთანხმებიან პარტიის თავმჯდომარის პრემიერ-მინისტრ მენდერესის პოლიტიკას.

როგორც პრესა იუწყება, დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში არსებული ეს უთანხმოება მთელი სიმწვავით გამოვლინდა ყრილობაზე, როცა თავმჯდომარემ, დაარღვია რა პარტიის წესდება, ხმების დაუთვლელად გამოაცხადა, რომ მიღებულია რეზოლუცია, რომლითაც საპარლამენტო რწმუნებანი წაერთვა ხსენებულ 19 დეპუტატს, რამაც დელეგატების უმრავლესობის დიდი პროტესტი გამოიწვია.

სტამბოლის პრესა აღნიშნავს, რომ ყრილობა დამთავრდა „დიდი მღელვარებისა“ და შეხლაშემოხლის ვითარებაში.

მდგომარეობა აღჟირში

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). პარიზის გაზეთებში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, თუ რას უდრის ალეირში ნაომარი მოქმედების მსხვერპლი 1954 წლის 1 ნოემბრიდან 1955 წლის 30 სექტემბრამდე.

ამ მონაცემების მიხედვით, ალეირელ აჯანყებულთა შორის არის 2.176 მოკლული და 227 დაჭრილი. ცნობებში აღნიშნულია, რომ მხედველობაში არ არის მიღებული მრავალი დაჭრილი, რომელიც აჯანყებულებმა წაიყვანეს. მრავალი მსხვერპლია აგრეთვე ალეირის მცხოვრებთა შორის, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა ბრძოლებში.

იმავე პერიოდის განმავლობაში საფრანგეთის ჯარის ნაწილებმა, პოლიციამ და ეანდარმერიამ ალეირში დაკარგეს 317 კაცი მოკლულის, 578 დაჭრილისა და 28 უკვალოდ დაკარგულის სახით.

მოსკოვს ჩამოვიდა საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი

მოსკოვს ჩამოვიდა საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. 23 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე იგი შეხვდება საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს. (საკდესი).



თბილისი

ქალაქის ქრონიკა

ქანდაკებისა და თაბაშირის ქარხანაში

თბილისის ქანდაკებისა და თაბაშირის ქარხნის მიერ დამზადებული მრავალი სახის პროდუქცია — სკულპტურული პორტრეტები, ბარელიეფები და გორელიეფები, მხატვრული ვაზები და სხვადასხვა ორნამენტები, ბიუსტები, მონუმენტური ქანდაკებები ამშვენებენ ჩვენი რესპუბლიკის პარკებსა და ბაღებს, კლუბებსა და კულტურის სახლებს, მოედნებს. ქარხანაში შექმნილი მხატვრული ორნამენტებით გაფორმებულია ბევრი ხიდი, თეატრი და სხვ.

წელს ყველაზე საპატიო და სერიოზულ საქმეს ქარხნის კოლექტივისათვის წარმომადგენდა მუშაობა ვ. ი. ლენინის ძეგლზე, რომელიც დაიდგმება თბილისში ლენინის მოედანზე. ქარხანამ უკვე ჩამოასხა ქანდაკება თაბაშირისაგან და გაგზავნა ლენინგრადში ბრინჯაოსაგან ჩამოსასხმელად. ამავე დროს ქარხნის ოსტატებმა შეასრულეს გორელიეფი კვარცხლბეკისათვის (ძეგლისა და გორელიეფის ავტორია სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. თოფურიძე). ასეთსავე სამუშაოებს აწარმოებს ქარხანა ქ. მახარაძისათვის ვ. ი. ლენინისა და ფ. მახარაძის ძეგლების შესაქმნელად. ამ ქანდაკებებზე მუშაობენ პროფესორი ნ. კანდელაკი და დოცენტი შ. მიქაძე.

დიდი სამუშაოები წარმოებს 300 არაგველთა ახალი ხიდის კომპოზიციური ქანდაკებების შესაქმნელად (მოქანდაკეები ი. ოქროპირიძე, თ. ასათიანი, ა. გორგაძე, ბ. ავალიშვილი). ამავე ავტორების მიერ უკვე შექმნილია მოდელი დ. გურამიშვილის ძეგლისა, რომელიც ულუფა ბოლოს ... ...